რაჭავ, ჩემო თვალის ჩინო...

რეჯველები

№2 (65) 1.02.2015 - 1.03.2015 ფასი: 2 ლარი ყოველთვიური გამოცემა

ენერგეტიკის
სამინისტრო
ალპანა-ჭრებალოს
მონაკვეთზე ჰესის
მშენებლობასთან
დაკავშირებით

ISSN 1512-1508

მიმდინარეობს ჟურნალის გამოწერა
მიმართეთ რედაქციას *ირჯელიერთ*

ლალანა და არეთა

ბორია
გუგეშაშვილის

ბორია გუგეშაშვილის ოჯახი რაჭაში ფართოდ არის ცნობილი. მათი მუსიკალური ნიჭის ამბავი ჯერ კიდევ ადრეული წლებიდან შეიტყო საქართველომ. უამრავ წარმატებას, ოლიმპიადებს, მედლებს, სიგელებს, დიპლომებს მოიცავს მათი ოჯახური მატიანე.

ბატონი ბორია დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ შვილები აცოცხლებენ მის წამოწყებულ საქმეს, ფოლკლორი მათთვის ოქროს საუნჯეა. მისმა ქალიშვილმა, ნინომ მამის მიერ დაწერილი ერთ-ერთი ლექსი „ლალანა და არეთა“ ტექსტობრივად განავრცო, შექმნა ულამაზესი მელოდია და გააკეთა კლიპი, რომელმაც ინტერნეტ სივრცე დაიპყრო. სიმღერა სულ სამიოდე თვის წინ დაიწერა და „იუთუბზე“ უკვე 13 ათასზე მეტი მნახველი ჰყავს.

ლალანა და არეთაო,
თქვენ კი გაიხარეთა,
დოქუნა გამოიმდგანეთ –
გამოგვხვდეთ გარეთა.

მეხტეირეები გეხტუმრეთ,
ლუკა ყარ დაზაქარა,
რა ტკბილად გვეპატიჟებით –
თქვენ ბირს ვინულ-შაქარა.

ბევრი ხტუმარიც მოგვყარეთ,
ეგელა კაი რაჭველა,
აქანაც უნდა დაველოცოთ
რაჭველების გაზენა.

თამადობას თუ ვერ იზამთ,
ვითამადეთ თავადა,
აგერ ხიმონ ხხირტლაძე გვეყავს –
მთელი ქვენის თამადა.

ულვაშებში ეცინება
მქმერელ აღდგომელასა,
ერთ ნაფს მერე მოიეუდებს,
რო დაგვათრობს ეგელასა.

მთელი რაჭა მოვიარეთ,
სულ ხიმდერით, სულ ასე,
ქვე რაკა მოგვასვენებდა
ყორა მაისურაძე.

აგერ კოსტა ნამომეუდარა
კაროკალთან, ღობეზე,
რკინიკეტებს რო დაღუნავს,
მერე მოდის ღონეზე.

ეკინზილა და ყარიაო
ცხელ კვცებში არიან,
ეს ჩვენი დიასახლისი
ელვაა, თუ ქარია?

რა ლხინია, რა დარია!
მთებიც ტკბილად დელავენ,
ლუკა, ბიჭია, ზაქარია
ხტეირებს შეუბერაენ.

ხან მეფეა, ხან დატაკი,
დადის, ბენწეის ხიდზეა,
ხან კეთილი მეხტეირეა –
გიგა ჟაფარიძეა.

ქუხილი არ გვგონიხვე,
მეხი მზიან ამინდზე,
ელვასაკით რომ იცინის
ზურია ქაფიანიძე.

მზე თამაშობს, ცა კრიალებს,
შორდა ფოცხვრებს შეურებს,
თვალხატულა ხეობებში
შალვახ გუნდი გუგუნებს.

ხელის გულზე რაჭა უდგეს,
წალკოტიკით გაშლილი,
ლექსით ეხიეკარულება
დანიელ ხახიაშვილი.

ხვაც ხუეველა რჩეული გვეყავს
ერთმანეთის მეობნები,
ეურიანა დაგველოცოთ,
ლაფეხა და ხოგნები.

იქვიფებს, იბურთაკებს,
იკალობებს შაშვიკით,
ბოლოს ეველას მიგვალეკხავს
ბორია გუგეშაშვილი.

ე დოქუნა, არეთაო,
ქვე გამოგიცალეთა,
ახლა ერთად გაგვიმარეოს
ეველას შინ და გარეთა!

ტექსტის ავტორები:
ბორის და ნინო
გუგეშაშვილები
მუსიკის ავტორი:
ნინო გუგეშაშვილი

სარჩევი



უანგარო თავგანწირვა — მამა ილია კარტოზია 2

ძმაო ძვირფასო — მამა გიორგი თევდორაშვილი 4

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 5

ძლევაი საკვირველი — დავით კიკოლაშვილი 6

ჩემს სახლზე ორი დროშა ჰკიდია ისრაელის და საქართველოსი
— დანიელ ხახიაშვილი 8

„სიზმარში საქართველო ვნახე“ — ანნა ერისთავი 11

კარზე ბოქლომდაკიდებული რაჭის ბინადარნი — ნაირა გობეჯიშვილი. 15

გივი სიხარულიძე იუბილარია 18

სად მონადირე სდევს ჯიხვსა — რამინ გურგენიძე 20

გონჯაობა მთის რაჭაში — სპარტაკ რეხვიაშვილი 23

* * * (ულამაზესი წლები...) — მარინე რეხვიაშვილი 24

კიდევ ერთი მადლიანი საქმე რუსთაველი ჩოხოსნებისგან 25

ჭიორის სევდა და სიხარული — რუსუდან რეხვიაშვილი 26

სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად ჩვენი დახოცვა
დაიწყეს — ია მეტრეველი 28

ჯაფარიძეების გვარის ისტორია 30

64-ე გაზაფხული ცათა სასუფეველში — გიორგი გაგოშიძე 33

ვენახის მოვლა-პატრონობა 36

ზღვის მარილი — ჯანმრთელობისა და სილამაზის მინერალი 38

ჩემს საყვარელ რაჭას — გურამ ბაღაშვილი 39

მოგმართავთ თხოვნით! — ანზორ სოხაძე 40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რეხვიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გოჩა გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარშეიშვილი
ტექსტი ააწყო
თამარ გოგინაძემ
მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ რაჭველებს და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _ გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

უანგარო თავგანწირვა

პატრიარქმა არქიმანდრიტ ილია ჯარტოზიას შესახებ აღნიშნა, რომ მოძღვარს შეეძლო გადარჩენა, თუმცა მან საკუთარი ადგილი ბავშვიან ქალს დაუთმო, რის გამოც ზღვაში გადავარდა და დაიღუპა.

2014 წლის 28 დეკემბერი. ადრიატიკის ზღვამ შთანთქა ქართველი, 27 წლის სასულიერო პირის, მამა ილიას სხეული, სული კი ზეციურმა სამყარომ წარიტაცა.

ეს ყველაფერი ასე დაიწყო... მამა ილია, საერო სახელით ომარი სოხუმში დაიბადა. ცელქი, მოუსვენარი ბიჭო იყო, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, ტანად ზორბა. ბავშვობა ხანმოკლე აღმოჩნდა მისთვის. მაშინ, როდესაც მისი თანატოლები ეზოში თამაშობდნენ, ომარი ეკლესიისკენ მიიკვლევდა გზას. 12 წლის იყო, როცა სტიქაროსანი გახდა. მეგობრის მამამ გაუკვლია გზა ეკლესიისაკენ. არასდროს არაფერი ეზარებოდა, ყველას შემწე და დამხმარე იყო. მამა გიორგის გაუმჟღავნა, რომ სასულიერო აკადემიაში ჩაბარება უნდოდა. მამამ რჩევისათვის მშობლებისკენ მიუთითა. ომარმა მშობლებს გული გადაუშალა — ღვთის გზით მინდა ვიარო, ბერად უნდა შევდგე, ამისთვის თქვენი ლოცვა-კურთხევა მჭირდებაო. შვილის ეს გადაწყვეტილება მშობლებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, თუმცა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ***დედა – მიმოზა ჯგერენაია:*** - ***„რა მექნა, შვილს შეურაცხყოფას ხომ არ მოვაყენებდი, სხვა გზა არ მქონდა, დავთანხმდი. მამამისმა უთხრა; იქნებ ცოლი მოგეყვანა შვილო და მერე წასულიყავიო. ეგ, როგორ, მამა, ჩემს ცოლს თქვენ ხომ არ დაგიტოვებდით, თქვენ ჩემს ძმას, ნიკას მიხედეთ, მე სხვისი მფარველობა მჭირდება, მოვა დრო, რომ სხვისი მფარველი მე***

მამა ილია კარტოზიას სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში

დედა- მიმოზა ჯგერენაია

მოძღვარი მამა გიორგი

ვიქნებიო“. და აი, მართლაც 28 დეკემბერი ეს იყო დღე, როცა თავისი სიცოცხლე ბერძენ დედა-შვილს ანაცვალა.

მამა ილია დროის დიდ ნაწილს საფარის მონასტერში ატარებდა. ის ყველაზე ახალგაზრდა არქიმანდრიტი გახლდათ. 18 წლის ბერად აღიკვეცა, მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ფიზიკურად მუშაობდა, ჩქარობდა, რომ ტაძარი სწრაფად დასრულებულიყო. ანდერძის თანახმად სწორედ აქ მიუჩინა უფალმა სამუდამო განსასვენებელი.

27 წლის ასაკში უდროოდ შეწყდა მამაოს სიცოცხლე. „ბორა ნორმან ატლანტიკზე“, რომელიც იტალიის ქ. ბარისკენ მიემართებოდა ხანძარი გაჩნდა. 422 მგზავრიდან 8 ქართველი იყო. მრევლი წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოსალოცად მიდიოდა. მოხდა უბედური შემთხვევა, რის შემდეგაც 11 ადამიანი გარდაიცვალა. მამა ილია ხალხს ევაკუაციაში ეხმარებოდა, შეეძლო გადარჩენილიყო, მაგრამ წინ დედა-შვილი გაუშვა, მისი სიცოცხლის თოკი კი გაწყდა და სხეული ადრიატიკის ზღვამ შთანთქა, ზღვამ, რომელმაც თავის გავეშებული ტალღებით გული რომ იჯერა, წმინდანის გვამი სანაპიროზე გამორიყა.

ამბობენ მამა ილიას ზურგჩანთა ბოლო წუთამდე არ მოუცილებია, რადგან ჩანთაში ხატები ეწყოო.

L'INTERVISTA / UN UOMO SOCCORSO: AVEVA CEDUTO IL POSTO A UNA DONNA CON LA FIGLIA

"Padre Ilia, annegato per salvare le sue icone"

BARI. «È stato lui a salvarmi, a darmi la forza. Se non ho ceduto allo sconforto è stato grazie a lui». Iraci ha 25 anni ed è uno dei superstiti di nazionalità greca. Con la moglie, il figlio di nove anni e i suoceri si era imbarcato sul traghetto diretto a Bari dove avrebbe voluto venerare la chiesa di San Nicola. «Con noi – racconta – c'era padre Ilia», un sacerdote, superiore del monastero ortodosso di David Agmashenebeli, a Mtskhet in Georgia. Padre Ilia, poco più di trent'anni, a Bari avrebbe voluto pregare per la prima volta nella cripta di San Nicola, ora figura tra le vittime del naufragio.

Cosa è successo dopo l'incendio?

«Io ho preso mio figlio sulle spalle. E ho cominciato a correre... ma ci sono stati i momenti in cui ho temuto di non farcela. Lui mi incitava, mi rassicurava, diceva di stare tranquillo e sopratutto di pensare a Dio. Così mi ha dato forza».

E poi voi siete saliti sulla scialuppa.

«Lui era sempre vicino a me. Indicava la strada che avrei dovuto seguire. Poi siamo arrivati nel punto del tra-

"Qualcuno ha buttato un giubbino di salvataggio, ma il mare era molto agitato, non è riuscito a prenderlo"

ghetto dove avremmo dovuto prendere le scialuppe. E lui era sempre vicino a dirmi: "Pensa a Dio. Dio ti aiuta"».

Lui non è salito sulla scialuppa?

«Quando è arrivato il suo turno, quando stava per salire, padre Ilia ha visto una donna con una bambina, forse erano di nazionalità greca e ha ceduto il suo posto, le ha detto di andare avanti».

E in quel momento che lo avete perso di vista?

«No, lui aveva con sé uno zaino. Dentro c'erano delle icone, delle immagini dalle quali padre Ilia non si voleva assolutamente separare. Diceva che le avrebbe portate sempre con sé. Quando è finalmente arrivato il suo turno si è aggrappato ad una fune che però ha ceduto. Padre Ilia è finito in mare».

E voi cosa avete fatto?

«Qualcuno ha buttato in acqua un giubbino di salvataggio, ma il mare era molto agitato, le onde alte e lui non è riuscito a prenderlo. È morto annegato, forse. Noi siamo alla fine abbiamo sperato fosse riuscito a salvarsi, pensavamo fosse stato soccorso da un'altra nave. Così non è stato, purtroppo».

(g.d.m.)

ILIA KARTOZIA
Superiore
del monastero
ortodosso di David
Agmashenebeli,
in Georgia,
tra i dispersi
della sciaguro

იტალიური პრესა მამა ილიას თავგანწირვის შესახებ

მამა ილია თურმე გამუდმებით ლოცულობდა და ხალხს ლოცვით ამხნევებდა მის გმირობაზე წერს იტალიური პრესა.

ასეთი ქმედება არავის გაჰკვირვებია. ის ყოველთვის სხვისი დამხმარე იყო. სასულიერო პირი 2008 წლის ომშიც მონაწილეობდა, ქალაქი ყველაზე ბოლომ დატოვა.

მაშინ მორჩილი იყო, სხვა სასულიერო პირებთან ერთად უამრავ შეჭირვებულს ეხმარებოდა.

ამ ყველაფერს კი ქალბატონი მიმოზა, უკვე გმირი დედა ტელევიზიით ადევნებდა თვალს.

რა ქნას ტირის, სტკივა, შესამოსელს ეფერება და უფალს ქვეყნისა და ერის ბედნიერებას შესთხოვს. მართლაც და ნიშნიანიძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ „არის პატარა კოლხეთიც, დიდთა რაინდთა მხარე“ — ამ კოლხეთის შვილია — გმირი რაინდი მამა ილია კარტოზია.

ნინო რეხვიაშვილი

მმაო მვირფასო

(გმირულად გარდაცვლილ მამა ილია კარტოზიას)

შენმა სიკვდილმა გააღვიძა ერში გმირობა
ქრისტეს მხედარმა აღასრულე მტკიცე ჰირობა
მმაო მვირფასო, დაგვანახე ბერის ზრდილობა
უკვე ზეცაში გააგრძელე მეობილობა.

ჯერ კიდევ ბავშვმა გადაწყვიტე ღმერთთან წინდობა.
უხილავ მამულს შეავედრე ჩვენი მშვიდობა.
ახოვანებით გაგვიწიე მამებს გიდობა.
ადრე ინება ზეციერმა შენი მიხმობა.

გვიან გავიგე რა ეოფილა ნათელ-მირნობა.
რთულია ქვეყნად მონაზვნობა, მშვიდი ხიზნობა.
ერთობ ძნელია ვაჟკაცური სულის წირობა,
დამღუჰველია, წუთისოფლის სრული მინდობა.

ევედრე უფალს შემწედარიეოს ხალხში ქიშჰობა.
დროზე დასრულდეს გონიერთა მიამიტობა,
მლოცველთა გულში ჩაღვრილიეოს სიამტკბილობა
მოძღვრის ბაგეზე ეოფილიეოს ჰირდაჰირობა.

დღეიდან შენზე იგალობებს ზეცის მკვიდრობა
მსოფლიომ უმალ დააფასა ზესთაშვილობა,
საქართველოში მუდამ იეო მსგავსი ბიჭობა,
ასეთი მსხვერჰლი სულიწმინდამ განაჰირობა.

მამა გიორგი თევდორაშვილი
30.01.2015

თევდორე მღვდლის გმირობა

თევდორე კველთელი, თევდორე მღვდელი (გ. 1609), ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გმირი.

1609 ოსმალთა ჯარი ქართლში შეიჭრა და ცდილობდა გზა გაეკვლია მეფის ბანაკისაკენ. ოსმალებმა სოფ. კველთის მღვდელი თევდორე კველთელი შეიპყრეს და მეგზურობა უბრძანეს. თევდორე კველთელმა მტერი სხვა მიმართულებით გაიტყუა და დააშორა ისინი ცხირეთის ციხეს, სადაც მეფის ბანაკი იდგა. ბოლოს ოსმალები მიუხვდნენ განზრახვას და წამებით მოკლეს. თევდორე კველთელის თავგანწირვამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა და საშუალება მისცა მეფე ლუარსაბ II-ს მომზადებული დახვედროდა მტერს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 97

1918 წელს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიისაგან გათავისუფლებისთვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დაიბადა. მე-19 საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა.

უმაღლესი სკოლის შექმნის რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ახმარდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. 1917 წლის

თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება.

12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს დაარსდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის" საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, აგრეთვე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია, თავად ივანე ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში.

ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: ***ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა, დიმიტრი უზნაძე, ვანდა ღამბაშიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ანდრია ბენაშვილი, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ წერეთელი.***

1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

ძლევაი საკვირველი

საქართველოს ყველაზე გამორჩეული მეფე დავით IV აღმაშენებელი დაიბადა 1073 წელს. იგი მეფობდა 1089-1125 წლებში. დავითი იყო გიორგი II-ისა და ელენეს ერთადერთი ვაჟი. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო მამამისი იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო და თავისი ძე 16 წლის ასაკში გაემეფებინა. ახალგაზრდა მეფე ენერგიული, განსწავლული და სახელმწიფო საქმეებშიც გათვითცნობიერებული იყო. მან არაერთი უცხო ენაც იცოდა.

XI საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოს ძნელბედობის ჟამი დაუდგა; ქვეყანას ახალი საშიში მტერი — თურქ-სელჩუკები მოევლინა. მრავალგზის შემოსევების შედეგად მათ თითქმის მთელი ქვეყანა ააოხრეს, დიდი და პატარა ტყვედ გარეკეს. შეწყდა ხვნა-თესვა და მკა. ქვეყანა მოოხრდა და ტყედ გადაიქცა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყდა. თურქ-სელჩუკებმა ქართველებს მძიმე ხარკის გადახდა დააკისრეს. ამ შემოსევებს ქართველებმა *„დიდი თურქობა“* უწოდეს.

მეფემ შემოიკრიბა ერთგულნი და დაიწყო ბრძოლა შინაური თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ. მან შექმნა მუდმივი ლაშქარი და კარგად გაწვრთნა.

ჩაატარა სამხედრო რეფორმები, 1118-20 წლებში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოიყვანა და საქართველოში დაასახლა ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი. მათგან მეფემ შექმნა მუდმივი ჯარი. აგრეთვე ერთგულ მოლაშქრეთაგან შეადგინა 5000-იანი პირადი გვარდია — *„მონა-სპა“*.

1099 წელს დავითმა თურქ-სელჩუკებს ხარკი შეუწყვიტა. ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. ამის შემდეგ კი დავით აღმაშენებელი საქართველოს სრული გაერთიანებისათვის ბრძოლას შეუდგა.

დავითმა დაიბრუნა წართმეული ციხე-ქალაქები. საქართველოდან თურქ-სელჩუკების საბოლოოდ განდევნის მიზნით 1121 წლის 12 ავისტოს დიდგორის ველზე გადამწყეტი ბრძოლა გაიმართა.

დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა 55 ათასიანი მეომრით დაამარცხა სელჩუკთა 300 000 -იანი კოალიციური მუსლიმური ჯარი.

დიდგორის ბრძოლას იმდროინდელმა მემატიანემ „ძლევაი საკვირველი“ უწოდა. აღსანიშნავია, რომ მუსლიმების წინააღმდეგ ევროპელი ჯვაროსნების რვავე ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა და მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შეძლო უძლეველი მუსლიმური ლაშქრის განადგურება.



დიდგორის გამარჯვების შემდეგ, დავითი კვლავ აგრძელებდა დაკარგული ტერიტორიების შემოერთებას. 1122 წელს მან 400 წლიანი ბატონობიდან გაანთავისუფლა თბილისი და დედაქალაქი ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოიტანა.

დავითმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა სამონეტო საქმის გასავითარებლად. 1123 წელს, ანისის აღების შემდეგ, „სომეხთა მეფის“ ტიტული მიიღო, რასაც გვაუწყებს მის მიერ მოჭრილი სპილენძის მონეტის ზედწერილი: **„ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, და სომეხთა“**; ეს უნიკალური და იშვიათი მონეტა ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

დავითის მეფობა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ 1103 წელს მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და დიდი რეფორმების გატარების შემდეგ ეკლესიიდან განდევნა უღირსნი.. მან გელათის სამონასტრო კომლექსის მშენებლობა 1106 წელს დაიწყო, რომელიც მისმა შვილმა დემეტრემ 1130 წელს დაასრულა. ანსამბლი აერთიანებს მთავარ — ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიებს, აკადემიას, კარიბჭეს, სამრეკლოს და სხვა ნაგებობებს. მთავარ ტაძარსა და წმ. გიორგის ეკლესიაში დაცულია შესანიშავი კედლის მხატვრობა, რომელიც XII-XVIII სს. მოიცავს. მთავარი ტაძრის ინტერიერში, ჩრდილოეთ კედელზე სხვა დიდებულებთან ერთად დაცულია დავით აღმაშენებლის პორტრეტი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის გელათის კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გელათის აკადემიის დაარსება, სადაც მოღვაწეობდნენ იმ დროისათვის ცნობილი პიროვნებები. იქმნებოდა და ითარგმნებოდა ლიტერატურული ნაწარმოებები, ხდებოდა ძველი ხელნაწერების გადაწერა და შემკობა. დავითმა აქ მოიწვია დიდი ფილოსოფოსები — იოანე პეტრიწი და არსენი, შემდგომში იყალთოელი, რომელიც მოგვიანებით კახეთს გაგზავნა. არსენმა მეფის მფარველობითა და მზრუნველობით დააარსა მეორე უმაღლესი სასწავლებელი — იყალთოს აკადემია.

შემორჩენილია დავით აღმაშენებელის ჯვარი, რომელსაც იგი ატარებდა. ჯვარი სავარაუდოდ, უფრო ადრე, IX საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. დავითმა იგი მხოლოდ წარწერით შეამკობინა: „ღმერთო ყოვლისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით აფხაზთა და ქართველთა ჰერთა და კახთა მეფე მზე ქრისტეანობისაი ამინ“. ჯვარი ნაკეთებია ვერცხლის ერთი მთლიანი მოოქროვილი ფირფიტისაგან.

დიდი მეფე შესანიშნავი პოეტიც იყო. მისი პოეზიიდან მხოლოდ ერთი — „გალობანი სინანულისანი“ შემოგვრჩა.

1125 წლის 24 იანვარს, 52 წლის ასაკში სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. დაუკრძალავთ გელათში, მონასტრის კარიბჭეში. გადმოცემით თითქოს მეფეს ანდერძად დაეტოვებინოს, რომ ყოველმა შემომსვლელმა გულზე დამაბიჯოსო. ეს ფაქტი არაერთი ქართველი პოეტისთვის გამხდარა შთაგონების წყარო. ერთ-ერთი მათგანია ანა კალანდაძის შესანიშნავი ლექსი:

* * *

ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოის ყოვლის მჰერობელმან
ვისურვე დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ეურმნის მტევნებით...
–ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო მიუტევები
ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი – ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე....
თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მჰოველთა?
–ფეხი დამადგით, გულზე დამადგით
ფეხი ყოველთა...

დავით მეფეს მადლიერმა ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი უწოდა და ამ სახელით შევიდა ის ისტორიაში. **8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა.**

დავით კიკოლაშვილი

ჩემს სახლზე ოჩი დოლაშა ჰკიდია ისრაელის და საქართველოსი

წერილი რედაქციას.

ნინო, მოგესალმებით ისრაელიდან, მოგიკითხავთ მთელი გულით და გიგზავნით დანიელ ხახიაშვილის ბიოგრაფიას, რაც სიკვდილის წინ დამიტოვა და მთხოვა თქვენთვის გადმომეცა. ზოგი რამ მე დავამატე. ნინო, დანიელი თქვენი მადლობელი იყო, ხშირად გახსენებდათ. ულარნარი „რაქველები" სულ თან დაჰქონდა. იმედი მაქვს ბოლო სულვილს შეასრულებთ და მასალას გამოუქვეყნებთ.



პატივისცემით

თინა ხახიაშვილი-ბუზუკაშვილი.

ონის სარაიონო ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომელი.

ულითლალოთ, დანიელ

,,წინ მიიწევს ერთი სუფთა ფურცელი,
ხელში კალამი აზრი უცვლელი,
მე ვცდილობ შენზე რამე დავწერო
თუმცა აზრები როგორ აღვწერო?''

პოეტობა ღვთიური ნიჭია დედის მუცლიდან თანდაყოლილი. პოეტი ხალხს ეკუთვნის, ჭირის და ლხინის გამზიარებელია, ერის მეხოტბე და ჭირისუფალი, პოეტი ჰიმნია უფლის სადიდებლად შექმნილი – სწორედ ასეთი პოეტი იყო დანიელ ხახიაშვილი.

დანიელი ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში დაიბადა. იქ, სადაც მაღალი მთებია, სადაც რიონი ებრძვის

თინა ხახიაშვილი-ბუზუკაშვილი

კლდის ქიმებს, სადაც ღარულას ზვირთების ნანა ტკბილ სიმფონიად ესმის მსმენელს, სადაც მწვანე ფიჭვები აფრქვევენ სურნელს, სიცოცხლის ელექსირად ეზავება რაჭის ლურჯ ლაჟვარდებს.

,,კუთხე ლამაზი და მოხდენილი
შესანიშნავი თავის ბუნებით''.

დანიელი ადრე ჭაბუკობიდანვე ეზიარა პოეზიის მადლს და მთელი სიცოცხლე მის სამსახურში გაატარა. დანიელის პოეზია უმალვე შეიყვარა ხალხმა, რადგან მისი ლექსი იყო სამშობლოს სიყვარული, ხალხის ერთგულებაში შობილი. ამიტომაც მას ჭაბუკობიდანვე ხალხმა პოეტი შეარქვა. მთელი რაჭა მას პოეტს ეძახდა – ეს კი ბუნებრივია, მისი სახალხო აღიარება გახლდათ.

მისი ლექსები ხშირად სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა.

დანიელი ყველგან იყო. რაჭაში არც ერთი საინტერესო შეხვედრა, დღესასწაული, ჭირი თუ ლხინი არ ჩატარდებოდა, რომ იქ დანიელს თავისი სიტყვა, თავისი ლექსი არ ეთქვა და ყოველივე ეს განა დედის მუცლიდან დაჰყვა? – არა, ამას მან დიდი შრომით, მტკიცე, გაუტეხელი შრომით მიაღწია.

მახსოვს სარაიონო ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, დანიელი ყოველდღიური სტუმარი და საუცხოო მკითხველი იყო. თითქმის წიგნი არ არსებობდა, მას არ წაეკითხა, არ იყო არც ერთი ლიტერატურული დილა თუ პოეზიის ზეიმი, რომ მას მონაწილეობა არ მიეღო, ამიტომაც დღითი-დღე იზრდებოდა მისი ავტორიტეტი. ხალხთან კავშირი კი მას დაუშრეტელ

ენერგიას და ცოდნას მატებდა.

დანიელი არ ყოფილა განებივრებული. უჭირდა მათ მრავალსულიან ოჯახს. მაგრამ კალამი არასდროს დავარდნია ხელიდან, ვერც სიღარიბემ გატეხა მისი რწმენა.გასაოცარი სიჯიუტით განაგრძობდა ერთხელავე არჩეული გზით სვლას.

რამდენი ხეტიალი, რამდენი რედაქციის კარი უნდა შეეღო ჯიბეცარიელ პოეტს ქალაქში, რომ მის სტრიქონებს მზის სინათლე ეხილა.

წლები წლებს მიჰყვა, მაგრამ გამარჯვება არა და არ სჩანდა. ბოლოს უკანასკნელად სცადა ბედი იმდროისათვის მეტად პოპულარულ გაზეთ „სამშობლოში“. სამშობლოს რედაქტორმა ყურადღებით მოუსმინა პოეტს, გადახედა მის ლექსებს და მოულოდნელად სურათი მოსთხოვა. ეს იყო და ეს. იმ დღიდან უცბად გაიღო ყველა რედაქციის კარი და როგორც ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“ — მისი ლექსები რესპუბლიკის გაზეთებში აფრიალდა.

დიდხანს ებრძოდა დანიელი თავის გრძნობებს — რელიგიურად აღიარებული სამშობლო თუ ადგილსამყოფელი. უძნელდებოდა მიეტოვებინა ის ქვეყანა, ის კუთხე, ის ქალაქი, ის სახლი, ის ეზო, სადაც დაიბადა, სადაც გაიზარდა, სადაც ფეხი აიდგა, სადაც შეისწავლა დედა-ენა, მაგრამ ყველაფერს ისტორიულმა მიწის ყივილმა სძლია, რელიგიური რწმენა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მშვენიერი სამშობლო.

წიგნი კი არა, წიგნთა წიგნია
სამყაროს შექმნის არის საწყისი,
ბიბლია უფლის ჰიმნთა ჰიმნია
კაცობრიობის ოქროს საწმისი,
მშვიდობით ჩემო ქვეყანავ,
ჩემო სახლ-კარო, ჩემო სალოცავო,
შენ, ჩემი რწმენის კედელო,
შენ, ჩემი სულის ტკივილო
მშვიდობის საგალობელო,
ცისა და მიწის ღიმილო.

მშვიდობით, გვჯერა საქართველოს გამარჯვებისა, გვჯერა საქართველოს აღორძინებისა, დაე, მარად იბრწყინოს და იხაროს რუსთაველის ქვეყანამ:

რადგანაც ღმერთმა ასე ინება
და სამხრეთელი
მიხმობს ცისკარი,
მხოლოდ ცოდვათა
მონანიება,
სხვა გზა არა სჩანს
არავითარი“.

1970 წ. დანიელ ხახიაშვილის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქალაქ ბერ-შევის მერიამ მიხეილ შემეშის ხელმძღვანელობით გამოსცა დანიელის ლექსების წიგნი **„რჩეული ლექსების ერთტომეული“**, რომელიც მთელი ონელების —ქართველებისა და ებრაელების სამაგიდო წიგნად სახელდება.

მახსოვს 1962 წლის პირველი მაისის დილა, სახელგანთქმული მსახიობი ეროსი მანჯგალაძე სადღესასწაულო რეპორტაჟს გადმოსცემდა თბილისისდან, უცებ ეთერში გაისმა სტრიქონები **„ეს მე ვარ, მოვდივარ პირველი მაისი, გააღეთ ხალისით ფანჯრები“**. და ეს ლექსი იმ დღეს რამდენჯერმე განმეორდა რადიოთი.გაზეთები კი მოწინავე გვერდებს უთმობდნენ. და აი, დადგა ნანატრი დღე. 1970 წელს გამომცემლობა **„მერანმა“** მისი ლექსების პირველი წიგნი **„მოლოდინი“** გამოსცა, მთელი რაჭველი ხალხი სიხარულით შეხვდა მისი გამარჯვების პირველ წიგნს. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე-მეოთხე. უცბად გახდა სახელოვანი, აღიარებული პოეტი მთელ საქართველოში.

პოეტი ლექსების წერასთან ერთად საზოგადოებრივ სამსახურსაც ეწეოდა, იგი 33 წლის მანძილზე რედაქტორობდა ონის რადიო მაუწყებლობას.

1987 წ. დანიელი დამსახურებულად გავიდა რესპუბლიკურ პერსონალურ-პენსიაზე. მომდევნო წელს 1988 წელს ტერიტორიულად მოინახულა ისრაელის სახელმწიფო, ნახა საყვარელი ნათესავ-მეგობრები, მეზობლები, სადაც მას ქ. აშკელონში

60 წლის თავთან დაკავშირებით გაზეთ „ალიას“ რედაქტორმა რუსთაველის საზოგადოებამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო. მდიდარი შთაბეჭდილებით დაბრუნდა ისრაელიდან დანიელ ხახიაშვილი რაჭაში, კვლავ ახალი შედევრებით გაივსო მისი პოეზია „სიზმარში საქართველო ვნახე“, „ყაზარია“, „ფილხაზია“, „გოდების კედელთან“, „ხაივა“ და სხვა მრავალი.

დაუვიწყარია მთელი ონის მოსახლეობისათვის 1988 წ. შემოდგომა, როცა დანიელმა რაჭაში მოიწვია ისრაელიდან საქართველოში სტუმრად ჩამოსული გაზეთ „ალიას“ რედაქტორი და მისი დელეგაციის წევრები. ეს შეხვედრა მთე ლი რაჭის ზეიმად იქცა, ზეიმობდა როგორც ებრაელი, ასევე ქართველი ხალხი, იყო შეხვედრები ონის შემოსასვლელში, ონის სინაგოგაში, სახალხო თეატრში, ყველგან სიხარული, ზეიმი, ტაში და ვაშა გაისმოდა – ეს ყველაფერი მოწვეულ სტუმრებთან ერთად დანიელსაც ეკუთვნოდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დანიელის დამსახურება ონის სინაგოგის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებაში, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს მეცნიერებათა-აკადემიის აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, მწერალმა და პროფესორმა ლევან სანიკიძემ და მრავალმა უცხოელმა და ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ.

დანიელი მაშინ დიდად დამწუხრებული გახლდათ, თავისი გაზრდილის, ძმის შვილის ბესიკ ხახიაშვილის გარდაცვალებით, მაგრამ მას, არც სტუმართ-მოყვარეობისთვის უღალატია არც ერისთვის, არც საქართველოსთვის და არც ისრაელისთვის. საქართველომ დანიელი დააჯილდოვა „ღირსების მედლით“, ხოლო ორი წლის შემდეგ საქართველოს და ისრაელის ხალხების 26 საუკუნოვან მეგობრობაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის და ქართული პოეზიის გამდიდრებისათვის დანიელი საქართველოს მთავრობამ „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვა.

დანიელის 12 ლექსების წიგნია გამოცემული. მისი ლექსები ჰიმნია ხალხთა-ძმობისა და მეგობრობისა, დ. ხახიაშვილის პატარა დასურათებული წიგნი „ქართველ ებრაელთა ცხოვრება რაჭაში“ ხელთუქმნელი ძეგლია ჩვენი რაჭველი ებრაელების რაჭაში ცხოვრებისა.

თინა ხახიაშვილი-ბუზუკაშვილი

დანიელ ხახიაშვილი

რაჭის ცოცხალი მემატიანეა

მახსოვს ონის რაიონის მჩქეფარე, შინაარსიანი, აქტიური, შემოქმედებითი ცხოვრების წლები, წლები, როდესაც პოეზია, თეატრი, კინო, მუსიკა ადამიანების სულის მასაზრდოებელი წყარო იყო. თაობები ხელოვნების ცის სარტყელის ქვეშ იზრდებოდნენ, სული ზეობდა, მხნეობდა, ყოველი დღე მწველი, შემოქმედებითი და აქტიური იყო... რაიონს სიცოცხლის ელფერს ქართველი ებრაელობა ჰფენდა. მათი წყალობით ონი ბობოქარი ცხოვრების ტალღებით იყო განფენილი. მათი შნო და ლაზათი რაიონისთვის სიცოცხლის წყარო და შეუდარებელი სამშვენისი აღმოჩნდა. დღეს კი ონი ეულად ქცეულ ნამოსახლს დაემსგავსა. ბოქლომდადებული სახლები უიმედოდ ელიან პატრონებს, მხოლოდ ერთი სახლია ბედნიერი, რომელმ აც სიმარტოვის მარწუხები შემოიხსნა, ორი დროშის, ძმობისა და მეგობრობის ბრწყინვალე შარავანდედით გაცისკროვნდა და ცოცხალ მატიანედ იქცა. ამ სახლის მკურნალი ონის რაიონის სასიქადულო შვილი, დიდი ერისკაცი, ბატონი ოქრო მაგრაქველიძე გახლავთ. ბატონი ოქრო, რომელმაც ოქროს წლები გაუხანგრძლივა ონის სულსა და გულს, ყველა რაჭველისათვის უსაყვარლეს ადამიანს დანიელ ხახიაშვილს. მისი სახლი ოქრო მაგრაქველიძის წყალობით სახლ-მუზეუმად იქცა, მანვე დააფინანსა პოეტის ბოლო წიგნი „რწმენის ტაძარი“.

—ეს დანიელის ბოლო სურვილი იყო, დანიელი ხომ ონის გული გახლდათ. სიკვდილის ბოლო წუთამდე ონით ცხოვრობდა. მისი ყოველი წუთი ონთან იყო დაკავშირებული, მიწასთან და ხალხთან, ვინც ღვიძლი შვილივით შეიყვარა და საკუთარ ძმად მიიღო. დანიელი ყოველი რაჭველი ოჯახის სასურველი სტუმარი და უფრო მეტიც, სრულფასოვანი წევრი იყო. ისრაელის მიწაზე ქართულად ფიქრობდა, ქართულად წერდა და საქართველოზე ფიქრით განუტევა სული.

მსუბუქი იყოს მისთვის ისრაელის მიწა. ხოლო მშობლიური ონის რაიონი არასდროს დაივიწყებს პოეტის დიდ სახელს და მის სახლმუზეუმს უკვდავების ძეგლად აქცევს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს დანიელ ხახიაშვილის სული.

ჟურნალ „რაჭველების“ რედაქტორი

ნინო რეხვიაშვილი

„სიზმარში საქართველო ვნახე“

საქართველოს და ისრაელის ისტორიული წარსული მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

ისტორიის მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა ორივე ერის თავზე. არ დაკლებიათ მტერთაგან შევიწროება და რბევა, ნგრევა და დევნა, ცეცხლითა და მახვილით გასწორება... ბედმა მათ მძიმე ხვედრი არგუნა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, და მაინც ვერ მოდრიკა მათი ვაჟკაცური სული. ვერ დაიმორჩილა, მათი უმაღლესი ბუნება და მომავლისკენ სვლა, ოცნება უკეთეს მერმისზე.

მიუხედავად რჯულის სხვადასხვაობისა, ქართველებსა და ებრაელებს ერთმანეთი უყვართ და პატივს სცემენ. აზვირთებულ მსოფლიო მღვრიე დინებას არ უერთდება მათი თავანკარა სიყვარულის წყარო, რომელიც გადმოჩქეფს, ერთგულებისა და სიყვარულის ენაზე გვეჩურჩულება.

ნაბუქოდინოსორ მეორისგან (ძვ.წ. 604-562 წ) დარბეული იერუსალიმიდან სხვადასხვა ქვეყნის კუთხეებში იძულებით განთესილი იუდეველი ებრაელების ერთი ნაწილი, ბედმა ქართულ მიწაზე გადმოისროლა, კერძოდ, ისინი ქართლში - მცხეთის მიდამოებში შემოვიდნენ. მეორე ნაკადი ებრაელებისა, ქართულ მიწაზე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დასახლებულა.

600 წლით ადრე ქრისტეს შობამდე, საქართველოში ჩამოვიდა ებრაელი ერის ერთი ნაწილი ელია წინასწამეტყველის ხალენით, რომელიც ერთ-ერთი სიწმინდეა ორივე ერისთვის.

ებრაული ენის ცოდნა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, შორეულ წარსულში, ქართველ მეფეთა განათლების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს შეადგენდა. „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესენი ყოველნი ნათესავნი და იზრახებოდა ქართულსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ქართლში ებრაელთა დამკვიდრება უნდა ყოფილიყო, ქართულ მიწაზე დასახლებიდან საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნეს მშობლიური ენა, სხვადასხვა კუთხეში, თუ სამშობლოში მცხოვრებ თანამოძმეებთან ურთიერთობა.

რაჭაში, ებრაელთა დასახლების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი დიდი ხნის წინათ მოსულან იმერეთიდან.

დამკვიდრებიდან დღემდე, ქართველებსა და ებრაელობას საუკუნეების მანძილზე, ერთად უცხოვრიათ, ერთი სიხარული და ერთი სატკივარი ჰქონიათ, უცხოვრიათ სიყვარულით და ერთმანეთს შეჯიბრებიან მამულის სიყვარულში. განა ებრაელს, ქართველზე ნაკლებად უყვარს ეს ლაჟვარდოვანი ცა და ეს მარადიული მყინვარები და ქართული ენა? იქაც, ისრაელში წასულნი არ ივიწყებენ ქართულ ენას და თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს, ივრითულთან ერთად ქართულ „დედაენას“ ასწავლიან, ასწავლიან სიყვარულს.

უამრავი მაგალითია შემონახული ისტორიის ფოლიანტებში ქართველთა და ებრაელთა ძმობაზე, საქართველოს დიდი შვილები ესარჩლებოდნენ ებრაელებს მუდამ. გავიხსენოთ საბა კლდიაშვილის გმირობის ამბავი, ებრაელთა დევნის წინააღმდეგ მისი გამოსვლა და მოწამეობრივი აღსასრული.

ონს საოცარი ხიბლი ჰქონდა, როცა აქ ებრაელები სახლობდნენ. ამ ქუჩებს ისევ ენატრება ებრაელები: მეგობრები, მეზობლები, ძუძუმტეები...

ამ ლამაზ და წყნარ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა პოეტი დანიელ ხახიაშვილი, გაზაფხულის ერთ-ერთ მშვენიერ დღეს. ოჯახში მრავალი შვილი იზრდებოდა და დედა ჯარასავით ტრიალებდა. ქალი, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუშები, ზღაპრები, ლეგენდები, ლექსები... მისგან შეითვისა დანიელმა ქართული მიწისა და ცის სიყვარული, ბავშვობაშივე ეწვია მას შვიდფერი მუზა, სამშობლოს სიყვარულმა აამღერა, მისი პოეტური ჩანგი. პირველ ლექსს ცივ ნიავსაც კი არ აკარებდა, პირველი ლექსი, რომელიც დაიბეჭდა, ილია ჭავჭავაძეს ეძღვნებოდა. ამ პირველი ნაბიჯების მერე, პოეტი დაუცხრომლად ამღერდა საქართველოზე. საქართველო და ისრაელი, არის მისი სალოცავი და სადიდებელი უკვე თითქმის საუკუნე.

არ მეგულება მეორე პოეტი, ასე რომ შეყვარებოდა რაჭა და რაჭველები და ასე მტკივნეულად განეცადოს მისი დატოვება, სიზმრად და ცხადად საქართველოს ხედავს, რაჭის უმშვენიერეს მინდორ-ველებს, მისთვის უსაყვარლეს შოდა-კედელას (რუსთაველის პროფილს მაგონებსო) - ხშირად უთქვამს.

,,დავბადებულვარ ქართულ მიწაზე,
გამომყვა მადლი, ბედს არ ვემდური,
მე საქართველო ვიწამე ღმერთად,
და სულში მღერის გუთნისდედური“.

სოფელი, საქართველოში ისეთი სიყვარული დაიმსახურა პოეტმა თავისი ალალი გულით, რომ ყველა ოჯახის კარი მისთვის ღიაა, მას თაყვანს სცემენ, უყვართ მისი შემოქმედება და დანიელის მოღვაწეობამ განაპირობა, ის რომ რაჭის კოლორიტად იქცა.

„თუ ერთხელ ნახე ეს ცა კრიალა
ეს ტეე, ეს კორდი, ეს მთა, ეს ხედი.
მერე მშვიდობით გულო, მთლიანად
ამ სილამაზეს ვერ შეელევი“.

დიდი და მძიმე გზა გაიარა პოეტმა, შემოქმედების გზაზე აღიარებაც მოვიდა, მის შემდეგ პოეტის შემოქმედების ნიმუშებისთვის ღიაა საქართველოსა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთების კარები. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი მეგობრობა დიდ ადამიანებთან, (ირაკლი აბაშიძის ძუძუმტე იყო). დანიელის პირველი წიგნიც „მოლოდინი“ ხომ მისი დიდი მონდომებით დაიბეჭდა, თაობები გაიზარდა მისი პოეტური სიტყვის მადლით, ხვავრიელი არის პოეტის შემოქმედება, წრფელი გულით უმღერის ქართველი და ებრაელი ხალხის ურღვევ მეგობრობას, დრომ შეაფასა ყველაზე კარგად მისი ღვაწლი, თმებდათოვლილი, ალალი, გულმართალი პოეტი - ისრაელში წასული, ქართველ ხალხს ერთი წუთითაც არ დავიწყებია. პოეტი, იქაც სიყვარულის მქადაგებელია და მეხოტბე ხალხთა შორის მეგობრობისა.

ქართული მიწის სიყვარული რომ მოიკლას, ხან ვარდის ფურცლებს, ხან ვაზის ფოთლებს, საქართველოდან გაგზავნილს ეალერსება და ცრემლით იგონებს წარსულს.

არა მარტო პოეტს მოენატრა მშობლიური კუთხე. თავისი მყუდრო სახლი, არამედ ქართველებსაც მოენატრათ მისი ნახვა, მისი სიტყვის გაგონება, ყველაფერი ოცნების დონეზე იყო, რომ არა მისი მეგობარი, დიდებული ქართველი კაცი, ქველმოქმედი ოქრო მაგრაქველიძე, მან ნატვრა აუხდინა უფლის შემწეობით, ორი ქვეყნის, ისრაელის და საქარველოს ინტელიგენციას და გრანდიოზული საღამო მოუწყო, ისრაელიდან ჩამოიყვანა ჩვენი უსაყვარლესი დანიელი და დელეგაცია, დანიელის სახლ-მუზეუმის დაფუძნების იდეას შეასხა ხორცი, ეს სახლი ხომ დიდი კულტურული ღონისძიებისა და ხალხთა შორის მეგობრობის ხიდი იქნება, დანიელის ჩამოსვლა იყო საერთაშორისო დონის კულტურული ღონისძიება.

იყო სიხარულის ცრემლები, ხალხის თვალზე. აცრემლებული პოეტი თავისი მშობლიური სახლის კედლებს მოეფერა, მოეფერა მშობელ ხალხს და უბრწყინვალესი სიტყვა უთხრა, მოინახულა წინაპართა საფლავები, ილოცა სინაგოგაში სტუმრებთან ერთად სინაგოგის წინ, დანიელისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა: ზოია მეკუნელოვმა - „სალამურამ“, როგორც პოეტი ეძახის, თავის უმშვენიერეს მეგობარსა და პოეტს, მომღერალს და მრავალი ღონისძიების დამამშვენებელს.

საღამო-ვახშამზე გაგრძელდა ქართული და ებრაული ერის ისტორიის ფურცლები, ჟღერდა ქართული და ებრაული პოეზიის ნიმუშები, ისმოდა „მრავალჟამიერი“, სუფრას უძღვებოდა დანიელის ძმადნაფიცი ვასილ მაისურაძე, რომელმაც თავისი შეუდარებელი მჭერმეტყველებით აღაფრთოვანა მსმენელი, ყველას ეფერებოდა პოეტი, თვალები სიხარულით უბრწყინავდა და ჰქონდა „უთქმელი სევდა“.

პოეტის დასაფასებლად ჩამობრძანდნენ ისრაელიდან ქალბატონი მერი ამშიკაშვილი, რაჭაში დაბადებული, ისრაელის სახელმწიფოს ქართულენოვანი რადიოს რედაქტორი, რომელიც ქართულ ენაზე ესაუბრება მსოფლიოს და ბრწყინვალედ მიმოიხილავს ისრაელის და საქართველოს ამბებს, პოეზიისა და ხელოვნების სიახლეებს. თავის ქალიშვილთან, ირმასთან ერთად. ქალბატონი მერი, არაერთი ქართველი კლასიკოსი მწერლის შთაგონების წყარო, ის ცდილობს, რომ ორივე ერის შვილები დააახლოვოს ერთმანეთს და დაამეგობროს, ის ჩვენი ერთგული მეგობარია.

ისრაელის ელჩისა და ბატონ ფუქსის თანმხლები პირების გაცნობა ძალიან სასიამოვნო იყო საზოგადოებისათვის. მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ, რომ მონაწილეობა მიიღეს ამ უდიდეს კულტურულ ღონისძიებაში.

ჩამობრძანდა ბატონი ანზორ ჩაჩაშვილი, ბერშევის მუნიციპალიტეტის განათლების სააგიტაციო განყოფილების გამგე, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

„შენ უპატრონე
ჩემს უთქმელ ლექსებს
ჩემს საკალმახე
ბინულს და ჩქერებს
რაც მრჩება შენთვის,
ეს არის სიტკვა,
ეს არის ლექსი,
შენი და ჩემი
მამულ-დედული,
არ უღალატო,
იყავ ერთგული.
ამ ცის და მიწის
მე მივდივარ და
ახლა შენ იცი.“

ესაა პოეტის დიდი შთაგონება, რაჭის საზოგადოების სახელით მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ამ ღონისძიების ინიციატორს და მის მეუღლეს, ქალბატონ რუსუდანს, ვაჟიშვილს ირაკლის, რომელთა თავდადებითა და ერთგულებით, დაედგა გვირგვინი ამ შეხვედრას, რომელსაც „სიზმარში საქართველო ვნახე“ - ერქვა.

მინდა დიდი გულისტკივილით მივუსამძიმრო ყველა ონელს, თითოეულ ებრაელს, ისრაელსა საქართველოში ორი ქვეყნის დიდებული შვილის, დანიელის გარდაცვალების გამო“.

ანა ერისთავი

დაწერილია გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, ონში სახლმუზეუმის გახსნის დროს

მადლობელი ვარ

მადლობელი ვარ, მადლობელი ვარ,
ღმერთო მაღალო, მიწიდან ცამდე,
ისევ თქვენთან ვარ, მეც რაჭველი ვარ,
ამ სახლში ვიშვი აქ დავიბადე.
აქ განვიცადე ჰირველი ჟრჟოლა,
აქ ვწერდი ლექსებს მრწოლით და ჟრჟოლით,
მე სისჰეტაკე მაჩუქა შოდამ
და ჰირსა მბანდა ტალღა რიონის.
შევესისხლხორცე მშრომელ რაჭველებს
მათი ტკივილი გავიზიარე,
მე მათ ვუმღვნიდი ალალ სტრიქონებს
ლექსით ვკურნავდი მე მათ იარებს.
ჩემი ცხოვრება განთიადს გავდა
ღამეებს ლექსის წერით ვათევდი,
ისე მიეკარდა მშობელი რაჭა
აქედან თოკით ვერ გამათრევდით.
ეს სინაგოგა თავს რომ დაგვეურებს,
შენივთებული რაჭის ლაჟვარდებს,
სულ ვედრებაა, სულ არის ლოცვა
სიცოცხლე არის თქვენ გენაცვალეთ.
როგორ დავტოვე მე ეს წალკოტი
ეს სამოთხე და ეს საბაღნარო,
თვალცრემლიანი ახლაც ვერ ვხვდები
ხალხო, თქვენა თქვით, რით გავიხარო.
თუმცა ღვთის ნაკურთხ ქვეყანაში ვარ
მაგრამ სამშობლო მაინც სხვა არი,
იქაც ვწერ ლექსებს, მაინც ვალში ვარ,
თქვენთვის რაც მსურდა ვერ მოვასწარი.
შორსა ვარ, მაინც თვალწინ მიდგარხართ
და ეს სიშორე მე მეტს მავალებს,
ისევ მწამხართ და ისევ მიყვარხართ
ისევ თქვენთან ვარ თქვენ გენაცვალეთ.

ცა-ფირუზის და მიწა ზურმუხტის
მშვენიერება რაც ირგვლივ არი,
თუ ვერ შევამკე თქვენს საკადრისად
გთხოვთ მაპატიოთ ვერ მოვასწარი.
მოსასწრებია წუთისოფელი
ყოველი წუთი, ყოველი წამი,
ვინც მოგვევლინოთ ჩემს შემდეგ მგოსნად
მან გითხრათ, რაც მე ვერ მოვასწარი.
მიმეკვება თქვენი ლილე და ნანა
თქვენი ცრემლი და თქვენი ღიმილი,
მადლობელი ვარ, ჩემო ქვეყანავ,
რომ განიქარვეთ წუთით ტკივილი.
მე რაც შევქმენი ძმობის ჰიმნია
სიმღერად დარჩეს სადღეგრძელოში,
ჩემს სახლზე ორი დროშა ჰკიდია,
ისრაელის და საქართველოსი.
სახსოვრად ვტოვებ ჩემს ჰოეზიას
რომ ყველა სევდა მზემ აორთქლოს,
დღეიდან ჩემ-სახლს ცისკარი ჰქვია
რადგან ჰატრონობს ღვთის კაცი - ოქრო.
დღეიდან ამ სახლს და კარ-მიდამოს
ნუ ჩამოჰკიდებთ ჯიშკარზე ბოქლომს,
რომ ერქვას ამ სახლს სულ სამეგობრო
რომ შინ და გარეთ სულ იყოს ოქრო.
კაცო, მართალო, ღვთისგან ნაკურთხო,
რაჭველი ხალხის გულის მაგნიტო,
სახლ-მუზეუმი, რომ გაანათლო,
და მთელი რაჭა ამარგალიტო.
ჰოეზიისთვის დარჩეს ეს სახლი
რადგანაც ხალხმა ასე ინება,
მრავალჟამიერ „შალომ ლეხაიმ“
აქაც და იქაც იყოს მშვიდობა.

უფალი ბანსჯის

დადიოდა ონში დანიელა,
არც მაღალი იყო, არც ბეჯვანიერა,
ებრაელი კაცი, სიყვარულით სავსე,
რაჭის გული იყო, ჩვენი დანიელა.
ლექსით იღვიძებდა და ლექსით ცხოვრობდა,
ჰატარა კაცი იყო, თავისთვის შრომობდა,
დილიდან ღამემდე ის ლექსთან ომობდა,
რაჭის სიყვარულში ვეფხვობდა, ლომობდა,
ნიკორწმინდის მადლი მის სტროფებს გასდევდა,
სამშობლოს სიყვარული ძილშიც კი თან სდევდა,
მის აკვანს ბავშვობაში შაორი არწევდა
და მუზას სიჩაუქეს უწერა ამლევდა.
ბარაკონის სიწმინდე მის ლექსებს ზეცაში,
ჩიტივით აფრენდა,
რაჭაში იწუებოდა და იქვე მთავრდებოდა
მისი აღმაფრენა.
წავიდა დანიელა ნანატრ ისრაელში,
რაჭული ცრემლები იდგა მის თვალებში,
წასვლის წინ დანიელამ არავის აკოცა
საქართველოს მიწა და ზეცა ჩაკოცნა.
მისი შემხედვარე სუეველა გაოცდა,
ვერავინ გაიგო მის გულში რა მოხდა,
როცა სინაგოგას ოხვრა აღმოხდა,
მარტო ის მიუხვდა თუ მასში რა მოხდა.
და იმ წამს სინაგოგამ ის გულით დალოცა.
აქეთ სინაგოგა, ეულად ქცეული,
იქით ებრაელი ლტოლვილად ქცეული,
ვიღაცას ეს სტროფი ნაღდად გააოცებს,
როგორ თუ ლტოლვილი - საკუთარ მიწაზე?!
ვინც საქართველოთი ერთხელ დაავადდა,
მისი ცხოვრება სხვაგან გაავდარდა.
კეცხოველის ქუჩაზე ცრემლი ნიაღვარად,
მდინარედ ქცეული,
ებრაელთ ნამოსახლი, ფუძე დაქცეული,
ამხელა სიყვარული სადღაც გაქცეული,
რაჭის სიამაყე და დიდი განძეული,
სიბრძნე, სიკეთე და გრძნობა ჩახვეული,
... და ასე გაიკრიფა მოძმეთა უბანი,
არავინ იყო იმათგან მტეუანი,
და სიმარტოვე იგემეს ბინებმა,
მათი გულები კი რაჭის მთებს შემორჩა,
და იქვე დაივანეს მათივე სულებმა,
ალბათ ამიტომაც, ღამის წუვდიადში
უცბად გამოჩნდება ვარსკვლავთა კიაფი,
ეს მათი გულების ზეიმი იწეება,
როკვა, მუსიკა და თავდავიწეება...
სამშობლო მიწის არ დავიწეება,
ალბათ ამიტომაც ძლიერად გვიყვარან,
და მათი სიკეთე არ გვავიწედება,
რაა გასაკვირი, ან გასაოცარი,
მოეკას ძმას ძმა თუ არ დაავიწედება,
და როცა ცისარტეელა ზეცას გაანათებს,
და მოგვეკლინება ის ათასფერებში,
ეს ებრაელობა სიყვარულს გვიბრუნებს
რომელიც გავაეოლეთ მათ ცისფერ ფერებში.
და ჩვენი დანიელი, გრძნობა ცარიელი
წავიდა ისრაელში ცარიელ-ტარიელი,
მარტო გული გაჰყვა და სული ძლიერი,
დადის დანიელი იმ წმიდა მიწაზე
და ფიქრობს მიტოვებულ ღმერთის მიწაზე,
უკვე მოხუცია, ეულად ქცეული,
სული ძლიერია და არ წაქცეული,
იწვის სანთელივით, ეს წმინდა კაცი,
რომლის საქციელსაც უფალი განსჯის,
მისი წამებისთვის ეშმაკებს დასჯის,
მის სანთელს ჩაქრობას ღმერთი არ აცლის!

გივი სიხარულიძე

კონზე ბოქლომდაკიდებული ნიჭის ბინადონი

ხშირად უსულო საგნების ბედიც ადამიანებისას წააგავს. მოვლა-პატრონობა ყველას და ყველაფერს უხდება. ეული, ჟანგმოდებული, ბოქლომდადებული და ნაცრისფერია მიტოვებული, დაკეტილი სოფლების ეპითეტები. მომაკვდინებელი სიჩუმე ზეიმობს,რაცშლის,მიწასთანასწორებსსიცოცხლეს და ნადირთა არენად აქცევს იქაურობას. არადა ერთ დროს აზვირთებული სიცოცხლის შხეფები კიდით-კიდემდე სწვდებოდა მიდამოს. სხვისი ბედი იოლი განსასჯელია, რას გავაკეთებდით თავად— აი, ეს არის საქმე მხოლოდ. საქმე, რომელმაც დროების გმირად შეიძლება გაქციოს. გმირად, რომელმაც დუელში გარდაცვლილი სოფელი გამოიწვია და თავის ოჯახის მაგალითზე შრომით ხმალამოღებული უშურველად ებრძვის ამაოებას, კაფავს ეკალ-ბარდებს, ჟანგმოდებულ ბოქლომებს დაბჩენილ პირს ეროზიისგან უწმენდს და სოფელ სხანარში სიცოცხლის სიმფონიას წერს, რომელიც უკვე აჟღერდა, საბოლოო დახვეწა კი ძალიან მალე მოხდება – **„ვცდილობთ მოვამზადოთ საფუძველი იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაუბრუნდეს ადგილას დედას. ხუთი ოჯახი უკვე წამოსასვლელად ემზადება. ოქროს საუნჯე გვაქვს, განძს მიხედვა უნდა, ვიდრე განუკითხაობით ყვავ-ყორნები არ დაჰხვევიან და უპატრონოლეში არ გაუგლეჯ-დაუნაწილებიათ“,** - ამბობს გმირი ქალი **ნაირა გოგეჯიშვილი**.

ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო: ნაირა ონის რაიონში დაიბადა, შეუბნის რვაწლიან სკოლაში სწავლობდა, ახსოვს და არასდროს დაავიწყდება პირველი მასწავლებელი **ლაური ჩიკვილაძე**, ვინც აზიარა მშობლიურ ენას. შემდეგ ბედნიერი ბავშვობა... უამრავი საინტერესო დღე...

ამქვეყნიური სამოთხის გმირი ქალის ისტორია

მეცხრეკლასელი გოგონა ონის II საშუალო სკოლაში გადავიდა სასწავლებლად. ნიჭიერი იყო, პროფესიად კავშირგაბმულობა აირჩია და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა. ამასობაში გათხოვდა კიდეც. ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. მეუღლედ რაჭველი ბესო მაისურაძე შეარჩია. წარმოშობით ონის რაიონის სოფელ სხანარიდან. ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი. ცხოვრობდნენ ტკბილად, შეეძინათ ორი შვილი, ქალ-ვაჟი. არასდროს უჭირდათ, მაგრამ დასასვენებლად მხოლოდ მშობლიურ სხანარში მიდიოდნენ,- **„როდესაც გავშვებს არდადეგები ეწყებოდათ, მეუღლე ყოველთვის მეკითხებოდა, სად წავიდეთ? შეგვეძლო საუკეთესო კურორტებზე დაგვესვენა, მაგრამ გაგონებაც არ მინდოდა, მხოლოდ სხანარში, სხვაგან არსად-მეთქი, ვეუბნებოდი, ასე მიეჩვივნენ ჩვენი შვილებიც. ვცხოვრობდით ქუთაისში, ათი წელი თბილისში ვიცხოვრეთ, მაგრამ თვალი**

სულ აქაურობისკენ მეჭირა, ვიცოდი დადგებოდა დრო, რომ დავუბრუნდებოდით მშობლიურ კერას. ასეც მოხდა. მე და ჩემი მეუღლე, თითქმის ერთი წელი ხდება სხანარში ვცხოვრობთ. ოდესღაც

ხალხმრავალი სოფელი დაკეტილი იყო. მხოლოდ ზაფხულში თუ გაიგონებდით ადამიანის ხმას. ახლა აქ ორი ოჯახი ვართ. ერთმანეთთან შორი-ახლოს ვცხოვრობთ“.

— ნაირა, შენ ახალგაზრდა ქალი ხარ, წარმოუდგენელია, აქ, მთებში, სადაც არანაირი კომფორტი არ არის, არ არის ხალხი, როგორ შეიძლება იყო ბედნიერი.

— მერწმუნეთ, მხოლოდ აქ ვისვენებ. ეს ამქვეყნიური სამოთხეა. დიდი ხნის არ ვარ, მაგრამ დიდი ცხოვრება განვვლე. იყო დრო, როცა არაფერი გვიჭირდა, ეკონომიურად ძლიერი ოჯახი მქონდა. ერთი პერიოდი აუცილებლობამ მოიტანა,

რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წავსულიყავი. ამისთვის საექთნოს კურსებიც გავიარე. ჯერ თურქეთში წავედი. უსაზღვროდ გამიჭირდა, ხშირად ჩამოვდიოდი, მაგრამ მივხვდი, რომ იქ მე ველარ გავჩერდებოდი და გეზი იტალიისკენ ავიღე. საექთნოს პრაქტიკა მოხუცებთან ურთიერთობაში კარგად გამომადგა. თუმცა არანაკლებ მიჭირდა იქაც. ოჯახის და სამშობლოს მონატრებამ ჩემს ფსიქიკასა და გარეგნულ იერსახეს გარკვეული კვალი დაამჩნია. სულ სამი წელი დავყავი ემიგრაციაში. ბოლოს ჩემს სამუდამო საცხოვრებლად სხანარი ავირჩიე, ძალიან ბედნიერი ვარ. მაქვს მცირე მეურნეობა — ერთი ძროხა, სამი ცხვარი და ორმოცდაათი ფრთა ქათამი. ვფიქრობთ, ბიზნესი ვაწარმოოთ. ჩემი მეუღლე მშრომელი კაცია. გვინდა ფერმა გავაკეთოთ და ისე მოვაწყოთ ყველაფერი, რომ სხვა ოჯახებს აქ მოსვლის გადაწყვეტილება გავუადვილოთ. ჩემი ოცნებაა ახმაურებული, ხალხმრავალი სხანარი ვნახო. რაც არ უნდა გამიჭირდეს აქედან აღარსად წავალ. შვილები ქუთაისში ცხოვრობენ. ხშირად მოდიან. ახლაც ერთი თვე ჩვენთან იყვნენ. მეუღლეს სამსახურიც აქვს, ჩვენი ხეობის მაჟორიტარ დეპუტატად აირჩიეს.

— ვხედავ, რომ ბედნიერი ხარ. ფაქტობრივად ტყეში ცხოვრობთ, სულ ოთხი ადამიანი ხართ, ნადირის არ გეშინიათ?

— არა, არ მეშინია. ცხოველები მოვიშინაურე (იცინის), დათვი არა, მაგრამ შვლები ხშირად დარბიან ეზოში, მონადირეებს ვეხვეწები არ დამიხოცოთ ჩემი შინაური ცხოველები არიან-მეთქი.

იცით, რა კარგია აქ? სიწმინდე, სილამაზე, სიმყუდროვე, ყველაფერს სხვა სუნი ასდის — მშობლიური, ქართული, მამა-პაპური. ძალიან მიყვარს აქაობა, კიდევ ვიმეორებ, ამ ქვეყნიურ სამოთხეში ვარ. მაქვს ტელევიზორი, თუმცა ხშირად მისი მოსმენაც მაღიზიანებს, აქაურ სიმშვიდეს არღვევს.

აი, ასე ფიქრობს და ცხოვრობს ჩვენი რუბრიკის გმირი ნაირა გობეჯიშვილი. ქალი, რომელმაც მთელი ცხოვრება ცივილიზებული ცხოვრებით იცხოვრა, ახლა კი მთისა და ბარის ალიანსში ყოფნა ამჯობინა.

ვუსმენ ქალბატონ ნაირას და უმალვე მურმან ლებანიძის ცნობილი ლექსი „მეშინია!“ მახსენდება:

მეშინია!

ეს სოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელა ეს ჰატრახი საიგავო,
მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არვინ მოვიდეს და დაიკავოს!

შქმერს სათიბზე არ დავობენ მეზობლები,
ძაღლი არ ჰყეფს, ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!
ვაითუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,
ვაითუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!

ეს სხიერი, ეს ლიქოკი, ეს არხოტი
არ ჩააქრო, არ ჩააქრო! – გაფიცებდი.
არ წააგო, არ წააგო ეს წალკოტი! –
დამიხსომე, ასი წლის წინ გეძახოდი,
დამიხსომე, განჯღრევდი და გაღვიძებდი!

სწორედ, რომ დრულად დაეპატრონენ „ბოქლომდაკიდებული სახლების“ საუფლოს ქალბატონი ნაირა და ბატონი სოსო. დროულად, ვიდრე ვინმეს მოსწონებია და დაპატრონებია. აფერუმ მათ შემართებას, გამძლეობა ვუსურვოთ ამ სამაგალითო ოჯახს. ღმერთმა ინებოს, მათ გავლებულ კვალზე უამრავ ოჯახს ევლოს და ღრმა ძილს მიცემული სოფელი გამოფხიზლებულიყოს.

ნინო რეხვიაშვილი

გივი სიხარულიძე

იუბილარია

გაგიგონიათ გივი სიხარულიძე?!

ეს არის ბუნების ნათავხედარი კაცი არაბული ცხენივით პატარა თავით, განიერი ბეჭებით, ვეებერთელა მუშტებითა და მშვილდივით მოზიდული ტანით, რომელიც თოფის წამალივით სულ ასაფეთქებლადაა მზად. ეს არის ღმერთის ნებიერა კაცი, რომელმაც ფეხის წვერებზე მოიარა მსოფლიო - ცეკვით დადის, ლექსით ლაპარაკობს, სიცილით მუშაობს.

ეს არის ჭკუის კოლოფი, რომელმაც იცის რა ვაი-უშველებელი გვჭირს ჭკუისაგან და არ მალავს არც თავის, არც ჩვენს შერეკილობას. ეს არის კაცი, რომელზეც განგებამ თავისი მადლიანი კალთა დაიბერტყა - ერთის კი არა ათასის ნიჭი მისცა, მაგრამ არა ბედიღბალი. ეს არის კაცი-გამოცანა!.. რომელზეც ახლა თვითონ ინება ამოეხსნა თავი და წერამ აიტანა: ლევ ტოლსტოი ბრძანებს;

- თუ შეგიძლია - ნუ დაწერო!

ეტყობა აღარ შეუძლია და წერს.

ზეპირ სიტყვაში დიდოსტატია, ვნახოთ რას მოუტანს ბეჭდვითი სიტყვა? კიტსი ამბობდა - ყველაფერზე უფრო მეტად ცარიელი ქაღალდის მეშინიაო. გივი და შიში?..

იგი აქაც საკუთარ თავს ჰგავს. ღმერთმა ხელი მოუმართოს! მას განმკითხველი არასოდეს აკლდა... ახლა მკითხველი სჭირდება!

გიზო ნიშნიანიძე

დიდო გივი! კარგი ხარ!

ძალიან ძლიერი კალამი გაქვს! შენ რომ არ წერო — სისხლის სამართლის დანაშაული იქნება. შენი სტილი ღრმად ფსიქოლოგიურია, მანერა — ორიგინალური. ეს არ არის ნოველები. არავის გავხარ. ეგ ყველაფერი არის რომანის უძლიერესი ფრაგმენტები, თანაც საოცარი... საავადმყოფოს პალატაში იყვნენ ოთხნი. სამს სათითაოდ აღწერ, მკითხველი ელოდება მეუღლის ბედს. რამხელა სიყვარული გაქვს ცოლისადმი, რომ მის დასასრულს არ აღწერ!.. ესაა სიყვარულის იმპერატივი. ხისა და ფოთლის ურთიერთობა ვაჟას შეშურდებოდა! რა მშვენიერი მანერით აღწერ რუსულ უბრალოებას!

სწორედ ასეთმა უბრალო ადამიანებმა იხსნეს კაცობრიობა ფაშიზმისაგან...

მე რუსეთის ყველა ქალაქში ორ-სამჯერ ვარ ნამყოფი. ვიცი, ზუსტი ხარ, ძმაო! გასაჭირში რუსს არავინ სჯობია. დელფინარიუმი უბადლოა, განსაკუთრებით დელფინისა და ადამიანის პარალელები, ეპილოგში. თუ დაწერ რომანს „თბილისელი პატარა ბიჭი“, სიამოვნებით ვურედაქტორებდი.

სტადიონზეშესვლადაუკანგამოსვლაუბადლოა. სათაური ცუდია, სათაური — ნახევარი გამარჯვება უნდა იყოს: ესაა მიგნება. „მე ნამდვილმა მამამ მიმატოვა! — შედევრია!!! შენ დიდი ჰუმანისტი ხარ. სხვანაირად ვერც წარმომედგინე. ხან შტეფან ცვაიგს მაგონებ, ხან ო გენრის... შენ XXI საუკუნის კაცი ხარ, თანაც უნივერსალი. სიბერის ჟამს, რომ მოიხედავ, განვლილ გზას შეაჯამებ და თუ შენს წიგნებს არ დაინახავ, შენ მწარედ ინანებ, ხოლო ერს ერისკაცი დააკლდება!..

ღმერთი შენსკენ, ძმაო! ვაშა. იცოცხლე, შენი ჭირიმე!

Так держать!

შენი ქართლოს კასრაძე

წილი ნაყარია

რთული, ლაბირინთიანი გზა ცხოვრებასა და ლიტერატურაში. იგი არავის ჰგავდა. თავიდანვე რჩეულად ჩაეფიქრებინა განგებას. მწერლობაშიც ასევე შემოაბიჯა და დამკვიდრდა, დაფუძნდა. თუმცა, ეს, გვიან მოხდა... და მაინც აღესრულა განგებისმიერი ჩანაფიქ-რი; მაშინ, როდესაც სხვა მწერლები სამწერლობო მაგიდას უსხდნენ და შემოქმედებდნენ, გივი სიხარულიძე ცხოვრების ტაბლას უჯდა და მამაუფალის საგანმგებლოს აკვირდებოდა...

თემურ შავლაძე

ის ასეთია, როგორიც არის

გუგული მგელაძე

ის ასეთია, როგორიც არის,
ნაჯვარი გახლავთ მზისა და მთვარის,
ხან ურეკვია ბრილიანტივით,
ხან ცვალებადი, გიჟი მარტივით.
მასში მრავალი სული ბინადრობს,
სიკეთე მაინც სჭარბობს იმავდროს,
ცხოვრების სევდა მას ვერ ერევა,
რადგანაც სჭარბობს ნიჭიერება.
ხან არის ცეკვა შმაგი ბუნების,
ხან როგორც ეველა-მსხვერპლი ცდუნების,
ხანაც, შვილისთვის თავსაც იმცირებს
(დღეს ამას ვერვინ ვერ აიცილებს).
ცხოვრება ხშირად უჭერს მარწუხებს,
და მაშინ ცდება... და ეს აწუხებს...
ნატეხი მზის და ნატეხი მთვარის,
მიიღეთ იგი როგორიც არის!

ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში
მიხეილ ქორქია და გივი სიხარულიძე

სად მონადირე ცდევს ჯიხვსა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში გურგენიძეების ოჯახი ცხოვრობს. ოჯახის უფროსი მიშა და მისი ოთხივე ძმა თანასოფლელებს შორის ნადირობით და ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ. სამამულო ომმა არცა მოჯახს დააკლო ხელი. მიშა და მისი ძმა გრიშა ქერჩთან დაიღუპნენ, ერთი ძმა ალექსანდრე თბილისში გარდაიცვალა. ოჯახში რამინი იზრდებოდა, პატარა ვაჟკაცი, რომელსაც თვალი სულ მთისკენ ეჭირა. კვიცი გვარზე ხტისო ხომ გაგიგიათ, ჭაბუკობის ასაკში თექვსმეტ კალიბრიანი „თოზ-ით“ უკვე ხელმარჯვედ, მოხდენილად გაუყვა

წინაპართა ნაკვალევს. განსაკუთრებით ემადლიერება შალვა გურგენიძეს, ვინც უშუალოდ აზიარა ამ დიდებულ საქმეს. გურგენიძეებს ოჯახში ყოველთვის ჰყავდათ მონადირე ძაღლები, რომლებიც ხშირად თბილისში გამოფენებზეც დაჰყავდათ და შესაბამის ჯილდოებსაც იმსახურებდნენ.

აი, ასეთ ფუძეზე გაიზარდა რამინ გურგენიძე. 1941 წლის 15 მაისს დაიბადა, სამი წლის იყო მამა-ბიძებმა რომ დატოვეს, ფრონტიდან მოსული წერილები აძლებინებდა გურგენიძეების ოჯახს. ყველას ძალიან გაუჭირდა. სოფლები ქალების და ბავშვების ამარა დარჩნენ, რაც ოჯახებს მძიმე ტვირთად დააწვათ. შრომობდა პატარა ბიჭი, ერთგულად უდგა მხარში დედას და ბებიას, ცდილობდა მამა-ბიძებისთვის ფეხზე დამდგარი, ძლიერი ოჯახი დაეხვედრებინა, თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო. ყოველი წერილის მოსვლა დღესასწაულს ჰგავდა, მაგრამ ერთხელაც სამკუთხა ბარათის მომტანი აღარ გამოჩნდა... ყველაფერი დამთავრდა! ომის ქარცეცხლმა სხვა უამრავ მებრძოლთან ერთად ძმები გურგენიძეების სიცოცხლეც შთანთქა.

რამინი ჩორჯოს რვაწლიან სკოლაში სწავლობდა. შემდეგ სწავლა ბუგეულის საშუალო სკოლაში განაგრძო. მთის სიყვარულმა პროფესიის არჩევანშიც თავის კვალი გაავლო და ვაჟკაცური საქმე-

სიმპოზიუმებში არაერთხელ გამარჯვებული მონადირე ძალღები

რამინ გურგენიძე ნადირობის დროს

გეოლოგობა აირჩია. რის გამოც ხშირად უწევდა საქართველოს მთა-გორების დალაშქვრა,ხან ღების გეოლოგიურ პარტიაში მუშაობდა, ხან თბილისის გაზსაძიებო ექსპედიციაში. ამას გარდა მარნეულის სოფლის მეურნეობის სამსახურში და მეტრომშენშიც უმუშავია. ამ უკანასკნელში კოლეგებთან ერთად მეტად საინტერესო, იმ დროისათვის ორიგინალური რამ განახორციელა — გვირაბის გაყვანა გრუნტის გაყინვის მეთოდით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ბატონი რამინის წვლილი 1990 წელს რაჭაში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდში. ამ დროს იგი „საქმშენელექტრო“ ბაზის მეექვსე საწყობის უფროსი გახლდათ. ჯერ კიდევ მიწისძვრამდე ბაზას პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სტუმრობდა, რომელმაც დაათვალიერა ყოველივე და ძალიან მოეწონა კიდეც. ბაზის უფროსი ანზორ მენთეშაშვილი იყო. ამ დროს რაჭაში მოხდა მიწისძვრა. 1990 წელია. სასწრაფოდ შეიქმნა შტაბი. გოჩა მალანია ცემენტის საწყობს ხელმძღვანელობდა. ომარ გველესიანი კი ელექტროობის საწყობის უფროსი იყო. ამ შემზარავი ამბის გაგებისთანავე რამინი თავის ვაჟთან და ომართან ერთად რაჭაში გაემგზავრა. ნიკორწმინდის ტაძარი ძალიან მძიმე მდგომარეობაში დახვდათ, მანქანაში არსებული ელექტროობის დიდი ნაწილი ნიკორწმინდაში დატოვეს, ნაწილი კი ომარის სოფელში, ბარში აიტანეს. ბარიც ძალიან დაზარალებული იყო. საბედნიეროდ გადარჩა იქ არსებული ტაძარი, არც ომარ გველესიანის სახლს მოსვლია რამე.

რამინ გურგენიძის უშუალო ხელმოწერითა და მონაწილეობით „საქმშენელექტრო“ ბაზა რაჭას იმ გაჭირვების ჟამს უხვად ამარაგებდა სამშენებლო მასალებით, ელექტრო და შესადუღებელი აპარატურებით.

დღეს რამინ გურგენიძე პენსიონერია. ეს ამაგდარი კაცი თავისი კუთხის, რაჭის და რაჭველების სიყვარულით ცოცხლობს. იქაური ყველა და ყველაფერი უყვარს. შეჰხარის მშობლიურ კუთხეს, სიმრავლეს, კეთილდღეობას და მხნეობას უსურვებს თითოეული ფუძის ბერმუხას, ვინც ცოცხალი თავით არ ტოვებს მამა-პაპათა კერას და დარაჯად უდგას წინაპართა ტრადიციებს.

ნინო რეხვიაშვილი

სპარტაკ რეხვიაშვილი

გონჯაობა მთის რაჭაში

მთის რაჭაში ყოველი წლის ივლისში, კვირა დღეს, (მზის დღე), ტაროსის (ამინდის) ღვთაებისა და მზის ქალღმერთის სადიდებელ რიტუალს — გონჯაობას აღნიშნავდნენ.

სვანეთში ძველად გვალვასთან დაკავშირებით ე.წ. გონჯაობას ანუ ლაზარობას აწყობდნენ. ამ დროს სოფლის ქალები და ბავშვები გონჯას, ან ლაზარეს წინამძღოლის თანხლებით კარდაკარ დადიოდნენ და მზის ქალღმერთისა და ტაროსის ღმერთის სადიდებელს გალობდნენ. ზოგჯერ წინამძღოლს, რომელსაც, რიტუალის მიხედვით, ზებუნებრივი ძალა მიეწერებოდა, საგანგებოდ არჩეული ქალწული ან ბიჭი განასახიერებდა, ზოგან კი ლაზარეს თიხის ქანდაკება გამოიხატებოდა, ხოლო გონჯას ოთხმხრიანი ჯვარი ასახავდა. გონჯას გამოსახულებას ჯვრის ზედამხრის წვერზე თავის ნიშნად ნაჭრები ჰქონდა დახვეული და ტანზე ქალის ძველი პერანგი ეცვა, ან ჩვრებშემოხვეული იყო, ან (თემური ვარიანტი) საწვიმარა გუგაის სახელწოდებით ცნობილს პატარძლის ტანსაცმელი ემოსა.

მთის რაჭულ და ხსენებულ სვანურ რიტუალებს შორის ბევრია მსგავსება, მაგრამ განსხვავებაც შესამჩნევია. მთის რაჭაში გონჯაობის დროს თოჯინას კი არ ჩამოატარებდნენ სოფლის კარდაკარ, არამედ ამ რიტუალისთვის წინასწარ შერჩეული გოგონები ჩამოივლიდნენ.

მთის რაჭული გონჯაობა მზისა და მთვარის საქორწინო რიტუალის ინსცენირებაა. უბნის ბიჭები და გოგონები შეიყრებოდნენ საგონჯაოდ, სალხინოდ წინასწარ შეარჩევდნენ ბინას. შინიდან ყველა ცალ-ცალკე თავისი პურ-ღვინით მიდიოდნენ დღეობაზე. სოფელში გამორჩეულ ორ დიასახლისს მოიხმობდნენ დასახმარებლად, რომლებიც გამოაცხობდნენ ბაჭულებს: ხაჭაპურებს , ლობიანებს. მოადუღებდნენ ხავიწს (ერბოში მოდუღებული პურისა ან სიმინდის ფქვილის ფაფა), გააწყობდნენ სუფრას და საგონჯაოდ გაემზადებოდნენ.

გოგონებიდან, ვინც საოჯახო საქმიანობით და გარეგნული მომხიბვლელობით გამოირჩეოდა და "მზის სადარიც იყო", დედოფლად აირჩევდნენ. მეორე გოგონას, რომელიც ბიჭური ჩვევებით გამოირჩეოდა და კაცური ცეკვა-თამაში ეხერხებოდა, ნეფედ დაასახელებდნენ. ძმადსაც და მდადიანსაც გოგონებიდან გამოჰყოფდნენ. შემდეგ იწყებოდა მათი საქორწინო ჩაცმა-დახურვა და მოკაზმვა. დედოფალს თეთრ საქორწინო კაბას ჩააცმევდნენ. თავზე გვირგვინს დადგამდნენ, ფატას დაახურავდნენ და ფერადი ყელსაბამით მოკაზმავდნენ. ნეფედ შერჩეულ გოგონას საქორწინო თეთრ ჩოხა-ახალუხსა და საგულეში გამოაწყობდნენ. ნეფე-დედოფალი ტანთ-ჩაცმულობის რიტუალის დამთავრების შემდეგ ჯვარს იწერდნენ, და მაყრულით მიაცილებდნენ.

„მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვეავს ლამაზი ქალია,
ქალი არის მზიანიო,
აბრეშუმის თმიანიო.
მოგვანათეთ სანთლები,
დაგვილოცეთ მაურები".

საგონჯაოდ და სალხინოდ გამიზნულ დარბაზში ნეფე-დედოფალს, როგორც წესი, ერთად დასვამდნენ. აქეთ-იქით ძმადი, მდადი და მაყრები მოუსხდებოდნენ. შეიქმნებოდა სმა-ჭამა და პურობა მეტად შესარგი, რომელსაც ლხინი, ცეკვა-თამაში, ქალთა საფერხისო და ვაჟთა საფერხულო სიმღერები მოჰყვებოდა. დაირისა და გარმონის შეწყობილ ხმაზე მხიარულად ატარებდა დროს ახალგაზრდობა. საგულისხმოა, რომ დანიშნულ გოგონებს აქ ძღვენი და საჩუქრები მოსდიოდათ საქმროთა ოჯახებიდან, რომლითაც საერთო სალხინო სუფრა მდიდრდებოდა.

გოგონებიდან და ვაჟებიდან რძის შესაგროვებლად შერჩეულ უმცროსებს სოფელში კარდაკარ დაატარებდნენ. სახეშემურული ყმაწვილებისა და გოგონების გუნდი, სახლის წინ შეჩერდებოდა და ტიროსისა და მზის სადიდებელი „დიდი ღმერთის" საგალობელს სიმღერით წარმოსთქვამდა:

„გონჯა მოდგა ჯარასაო,
აეერიალებს თვალებსაო,
რვილასა და რვილასაო,
ღმერთი მოგვცემს წვიმასაო,
გაგვიკეთებს ეანასაო,
ჩვენსა მოსავალსაო,
ხარის ნამუშევარსაო,
კაცის ნამუშევარსაო".

ამ სიმღერა-გალობით კმაყოფილი ოჯახის უფროსი გამოხედავდა მგალობლებს და როგორც წესი, რძით

უმასპინძლდებოდა. საგონჯაოდ შეყრილნი მოგროვილი რძით ყველ-კარაქს ამზადებდნენ და საგონჯაო სუფრაზე მიჰქონდათ.

საუკუნეებიდან მომდინარე ამ წარმართული ხანის წეს-ჩვეულებას ნათლად ეტყობოდა ქრისტიანული რელიგიის გავლენა და დროის ცვალებადობა.

გონჯაობისას აღნიშნულ მთის რაჭულ ვარიანტში მეტად საყურადღებოა მზისა და მთვარის ქორწინების ინსცენირება, რეალობაში ნეფე-დედოფლის მზედ და მთვარედ წარმოსახვა და მათი მაყრიონის მთავარ მოქმედ ძალად გოგონების წარმოჩენა. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ნათლად სჩანს კვალი ქალის სახით მზის კულტის თაყვანისცემისა, რომელიც შეინარჩუნა ხალხის მეხსიერებამ და ქრისტიანული რელიგიის გავლენის ცოტაოდენი სახეშეცვლილი ჩვენამდე შემორჩა გადმონაშთის სახით.

საინტერესოა, რომ მთის რაჭული გონჯაობის ანალოგიურ სვანურ დღეობას ვ. ბარდაველიძე „მეტად ორიგინალურ რიტუალად“ მოიხსენიებს. თან იქვე ჩვენთვის საინტერესო მოსაზრებას გამოსთქვამს ისე, როგორც მთის რაჭველი, ასევე სვანური რიტუალი გარეგნული მაჩვენებლებით ქრისტიანულ რიტუალად გამოიყურება, მაგრამ არსებითად წარმართულ ღვთაებათა ქორწინების რიტუალზე, რაც სვანური და მთის რაჭული ტრადიციების ურთიერთმსგავსებაზეც მიგვანიშნებს, ვფიქრობთ, ორივე შემთხვევაში, გონჯაობის ანუ ლაზარობის ცერემონიალებში მზის ღვთაების ქალბარბარეს სახელთანაც უნდა იყოს დაკავშირებული. მეტადრე ცნობილია, რომ მზე უძველეს ხალხებს ქალის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი:

„**მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი**“, ამბობს ხალხური სიბრძნე.

შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს „ხეთა+სუბარებს“ უძველეს ღვთაებად მიაჩნდათ მზე, რომელიც მათ ქალის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქალაქ ფაზისში (ფოთი) აღმართული იყო ქალღმერთის ქანდაკება, რომელსაც ხელში ეპყრა „კიმვალი“ (სამუსიკო საკრავი), ხოლო მის ფეხთან იწვნენ ლომები, ბერძნების აზრით, იგი ყველაზე მეტად ემსგავსებოდა ქალღმერთ კუბალას და წარმოადგენდა მცირე აზიის მთავარ ქალღმერთს, რომელსაც ეწოდებოდა „დიდი დედა“, „დედოფალი“ და „ღვთის მშობელი“, ნათლად სჩანს, რომ ორივე შემთვევაში ბერძნული ცნობები გულისხმობენ განსაკუთრებულ პატივისცემას ქალღმერთის სახით წარმოდგენილ მზისადმი.

„რა“, ხომ შუმერთა და ეგვიპტურ ენებზე სამყაროს, კაცთა მოდგმის და ღმერთების შემქმნელი მზის ქალღმერთია.

ბორჯღალო — მზის სვანური სიმბოლო

წარმართ ქართველებს რომ მზის ქალღმერთი კულტად მიაჩნდათ, ამის შესახებ, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა მთის რაჭული და სვანური ხალხური ხელოვნების ნიმუშების სკივრების (კიდობნები), კერიის ქვების, ქადა-ხაჭაპურების, კვერების და სხვა ერთი სახის სხივებიანი წრეხაზებით წარმოსახული მზის გამოსახულებებიც ღაღადებენ. ამაზე მეტყველებს ქრისტიანული სახელებით მონათლული მზის ქალღმერთის უძველესი სადიდებელი მთის რაჭული, ოდესღაც წარმართული სალოცავები: „მარიამის“, „დედა ღვთისას“, „მთავარანგელოზის“, „შიხორის“, „კვირაცხოველის“, „შხელის ველის“, „სათხეურას“, საჯვარეები და წმინდა ადგილები, სადაც მნათობთა „დიდ ღმერთების“ დღეობებზე გაისმოდა მზისა და მთვარის სადიდებელი ომახიანი სიმღერები. ტარდებოდა ლოცვები და სარიტუალო პურობა – წარმოდგენები, ვაჟთა და ქალთა გუნდების საფერხულო და საფერხისო სიმღერები და საცეკვაო მელოდიები.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ქართველი ტომების ასტრალური რელიგიიდან, დღეისათვის ყველაზე უკეთ შესწავლილი მზისა და მთვარის კულტებია, მაგრამ, მთის რაჭის კონკრეტულ მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, დღემდე ამოუცნობ და შეუსწავლელ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს მთის რაჭის მთებში აქა იქ შემორჩენილი წმინდა ხეების კორომებით დაფარული, საჯვარეები და წოდებული სალოცავები, სადაც წარმართი ქართველები მზის ქალღმერთის და ტაროსის ღმერთის სადიდებელ ლოცვებსა და საგალობლებს აღავლენდნენ.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ მთის რაჭული წმინდა ადგილ-სალოცავების უმეტესობას საჯვარეები ეწოდება, მაგრამ იქ თვალხილულ და ხელშესახებ ქრისტიანულ ჯვარს ვერსად იხილავთ. არც წარმართული ასტრალური ნიშნებით შემკული სკივრებისა და კერიის ქვების მოხატულობაში ჩანს ჯვარი, სამაგიეროდ, თვალს იტაცებს მზის სხივურგამოსახულებიანი და წარმართული ბორჯღალი.

მათ შორის ერთ-ერთი მახარობლის სქემატური გამოსახულება სჩანს, რომელსაც ხელში უჭირავს სახარება, წმინდანი შარავანდედით მოსილი. ეს შემთხვევითი არ არის. წარმართული და

ქრისტიანული იკონოგრაფიის შერწყმა დამახასიათებელი იყო ადრეულ ქრისტიანულ ხანაში. წარმოდგენილი სკივრების მარცხენა ზედა კუთხეში სპირალის სახით ხვეული სავარაუდო ბედის ბორბალი უნდა იყოს. ამრიგად, ცხადია, რომ მთის რაჭველთა შორეულ წინაპრებს ჯვარი ქრისტიანობის წინარე ზეციურ უხილავ ღვთაებად მიაჩნდათ. მასზე ლოცულობდნენ შინ და გარეთ საჯვარეში მომსვლელი მორწმუნენი წმინდა ადგილს ფეხს არ აუქცევდნენ, მოკრძალებით მიუახლოვდებოდნენ საჯვარეს, ლოცვას აღავლენდნენ და დიდ ღმერთს შესთხოვდნენ ოჯახის, გვარის, თემის ბედნიერებას და გამრავლებას, ჯანმრთელობას, იღბლიან წელიწადს, მოსავლის სიუხვესა და ბარაქას, პირუტყვის სიმრავლესა და მშვიდობიან ცხოვრებას.

რა — მზის ქალღმერთია

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჯვარის გამოყენება უზენაესი ძალის გამოსახატავად და ჯვრის სახით ღვთაების წარმოჩენა დამოწმებულია, როგორც მთის რაჭისა და სვანეთის, ისე დანარჩენი ქართველი და ქართველთა მონათესავე ჩრდილოკავკასიელი ტომების ეთნოგრაფიულ ყოფაში.

სვანების ძველყოფაში ქრისტიანული ჯვრის სიმბოლოების გარდა, ჯვარი ეწოდებოდა ისეთ საკრალურ ობიექტებს, რომლებიც, თავისი წარმოშობით ქრისტიანობის წინარე ხანას განეკუთვნებოდა. ჯვარი ერქვა ტიტუაჟის ნიშნებს, რომელთა არსებობა სვანეთში გადმონაშთის სახით არის დამოწმებული.

წმინდასაჯვარეებშიბოროტიგანზრახვით ვერავინ მივიდოდა და მორწმუნეთა რისხვის შიშით იქ ხეს ვერავინ მოჭრიდა. სიბერით, ან მეხის დაცემით მოტეხილ ხეს ან მის ტოტს შინ ვერავინ წაიღებდა. ნიშში შეწირულ ნივთებს, თუ ხურდა ფულს ხელს ვერავინ ახლებდა. იქ მხოლოდ ღრმად მორწმუნენი მიდიოდნენ, ლოცვებს აღავლენდნენ და იმედიანად შეუდგებოდნენ შრომით საქმიანობას. სამგზავროდ მიმავალი ვაჭრები და ხელოსნები საჯვარეების მფარველი ანგელოზის დიდი იმედით სიძნელეების გადალახვას ადვილად ახერხებდნენ, შინ მშვიდობით დაბრუნების დიდი იმედიც ეძლეოდათ.

ამრიგად, გონჯაობა-ლაზარობის სადღესასწაულო რიტუალების მეცნიერული შესწავლა-გააზრების და ხალხური თქმულება-გადმოცემების საფუძველზე სრული უფლება გვაქვს, ვთქვათ, რომ ვიდრე მაცხოვარს მოგვივლენდა უფალი ღმერთად, მანამდე დიდი ხნით ადრე, დედად ქცეულ მზეს უმღეროდნენ ჩვენი შორეული წინაპრები და მათი მოდგმის რაჭველები, სვანები, მეგრელ-ჭანები, რაც სახეშეცვლილი ფორმით დღემდეა შემორჩენილი მზის ქალღმერთის დიდებული საგალობელი ორპირული სიმღერები: „რაეო, ჩვენო დედაო“ და „თვალჟუჟუნა ქალო“.

მარინე რესვიაშვილი

★ ★ ★

ულამაზესი წლები სწრაფად მიჰქონდა ქარს
გარბოდნენ წლები ჩემი, ვერ ვუკავებდი თავს!
ო, თითქოს არაფერიო, სულ არ ვუცქერდი მას.
გარბოდნენ, მეც მივუვებოდი, აბა რას იზამ სხვას?!
ყველაზე მეტად გულიდან როს მომაწვება სევდა
როცა ქუჩაში ცივასთან აღარ დამეძებს დედა
როცა ჯერ კიდევ ჩამესმის ბავშვების ხმები ყურში
გამახსენდება ნამვის ხე, თითქოს ეს იყო გუშინ,
დადგება შობის საღამო, სანთლებს დასცქერის მთვარე
სულ აღარა ჰგავს იმ წარსულს ეს მშვენიერი ღამე-
აღარ გაისმის ქუჩაში ალილოს მოძახილი,
თითო ოროლა დარბიან ბავშვები მოწყენილი
გარბიან კი არ დარბიან, თბილისი უღებს კარს
არ ვიცი ჩვენი სოფელი როგორ გაიტანს თავს!!!

კიდევ ერთი მაღლიანი საქმე რუსთაველი ჩოხოსნებისგან

ვანო ცინცაძე ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის უცხო არ გახლავთ. არც მისი მახვილი კალმის ნატერფალია თქვენთვის უცნობი. პოეტი პირდაპირ, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე მიმართავს ყველას, რომ უჭირს და დახმარება სჭირდება. ამას მხატვრული სიტყვის სატირისა და ლირიზმის, სარკაზმის მეშვეობით ისე კარგად წარმოგვიჩენს, რომ მკითხველს ცრემლი და ღიმილი ერთნაირი თანაფარდობით ეუფლება. ვანო მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, იუმორისტი და საზოგადო მოღვაწეა. ვერ ბეჭდავს წიგნს, ვერ აწვდენს ხმას საზოგადოებას. უჭირს სულიერად და ეკონომიურად. გასაკვირიც არაფერია, ეს ხომ საქართველოა. ფიროსმანი უსახლკარობით კიბის ქვეშ გარდაიცვალა. ჩვენ ხომ გენიოსებს მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ ვაღიარებთ.

ბატონი ვანო ხშირად სტუმრობს ჩვენს ოჯახს. ჩემი მეუღლე გოჩა გუტაშვილი მისი უმცროსი მეგობარია, მხარში უდგას, ისე როგორც შეუძლია. ახლა ქ. „რუსთავის“ ჩოხოსანთა საზოგადოებამ ვეფხო გულედანისა და ლაშა ღვინჯილიას ხელმძღვანელობით. პოეტის დახმარება გადაწყვიტა, რისთვისაც მოეწყო პოეტის შემოქმედებითი საღამო, წაკითხულ იქნა მისი პატრიოტული ლექსები, წერილები, იუმორისტული შედევრები. საღამო მიჰყავდა ჟურნალის დამფუძნებელს გ. გუტაშვილს და დამწყებ პოეტს ამირან ჯანჯღავას.

დასასრულს, პოეტს ჩოხოსანთა საზოგაოებისგან გადაეცა 350 ლარის ფულადი პრემია და ამავე რაოდენობის ღირებულების სასურსათო კალათა. ჩოხოსნებმა პოეტთან სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

რუსთავის ჩოხოსანთა საზოგადოება ბევრი სასიკეთო საქმის ინიციატორია.

მადლობა თითოეულ მათგანს ამ ეროვნული სულისკვეთებისთვის. იმედია მათ კვალს სხვებიც მიჰყვებიან და შეჭირვებულ პოეტს ამით სიცოცხლეს გაუხანგრძლივებენ.

ნინო რეხვიაშვილი

რუსთავის ჩოხოსანთა საზოგადოება და პოეტი ვანო ცინცაძე

მახარობლიანთ უბნის ქრონიკა

5 წლის ასაკიდან მამას მე და ჩემი ძმა მთის რაჭის ულამაზეს სოფ. ჭიორაში ახლობლების, მშობლიური კუთხის გასაცნობად და მოსანახულებლად დავყავდით.

არადროს დამავიწყდება ბავშვობის შთაბეჭდილებები. საგლოლოს ხიდთან შოვისა და ჭიორის გზაგასაყართან იწყებდა თხრობას, რაჭის სიყვარულით შთაგონებული, ზღაპრული ფერებით დახატულ „საოცრებათა სამყაროს“, მუდმივი თოვლით დაფარულ მთებს გვაცნობდა: „ლოღორა“, „შოდა“, „კატიწვერა“, ამ მთებიდან გადმომდინარე და გზაზე მოჩუხჩუხე კამკამა, ყინულივით ცივ, პატარა ნაკადულებს. გვასმენინებდა ულამაზესი ჩიტების საოცარ ჭიკჭიკს, გვაცქერინებდა ხასხასა ალპურ მდელოებს, მრავალნაირი მინდვრის ყვავილებით რომ იყო მორთულ-მოკაზმული.

1969 წ. სოფელი ჭიორა. მახარობლიანთუბნის ბავშვები.

მამა, მწერალი და ეთნოგრაფი სპარტაკ რეხვიაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფეხითსიარულს, რათა უკეთ დავკვირვებოდით და გავცნობოდით რაჭის ულამაზეს ბუნებას. პატარები სად არ დავყავდით; სათიბში, ბუბას მთის მწყემსების სადგომში, მჟავე წყლების შორეულ ადგილებში, ენით აღუწერელი სიხარულით გვიხსნიდა ნანახ გაგონილს. გვაცნობდა, გვაყვარებდა ყოველ შემხვედრს. განსაკუთრებით მოხუცები უყვარდა.

მახსოვს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, გზაზე, სტუმრად, მთაში თუ სოფელში ყველა მოხუცს გვერდით მოისვამდა. რაჭველები გონებამახვილი, ნიჭით გამორჩეულნი არიანო და მათ ყოველ სიტყვას ყურადღებით ისმენდა ან უბის წიგნაკში იწერდა.

ასე გრძელდებოდა მრავალი წლის განმავლობაში. ზაფხულის არდადეგებს ყოველთვის ჭიორაში ახლობლებთან ვატარებდით.

არასდროს დამავიწყდება სოფელ ჭიორის მახარობლიანთ უბნის ბებიები და ბაბუები, რომლებიც ბავშვებს ისე გვექცეოდნენ, როგორც საკუთარ შვილიშვილებს. მაშინ ყველა სახლი სავსე იყო, როგორც მოხუცებით, ასევე ახალგაზრდებით. ყოველი სახლი, ყოველი ეზო ჩვენთვის, ბავშვებისთვის სულ ღია იყო.

არასდროს დამავიწყდებიან მარგალიტა ბებია (სეხნოენთი), დათიკო ბაბუა (ხრიკეენთი), სულიკო მამიდა (ხრიკეენთი), მათი სტუმართმოყვარე, მოსიყვარულე ოჯახები.

დღეს მახარობლიანთ უბანი თითქმის დაცლილია. ზამთარში სულ 2-3 ოჯახიდან ამოდის კვამლი. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ეს ოჯახები.

1962 წ. სოფელი ჭიორა. ხალხმრავალი მახარობლიანთ უბანი

მახარობლიანთ უბანი ორმოცი წლის შემდეგ. უკანასკნელი მოჰიკანები: სპარტაკ რეხვიაშვილი, გულია (ბუჭალეენთი), პავლე (კაკოენთი), თეოლია (შოშიტეენთი). 2002 წელი სოფელი ჭიორა.

სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად ჩვენი დახოცვა დაიწყეს

ია მეტრეველი

„იმის მაგივრად, რომ მკვლელები ყოფილიყვნენ დასჯილი და ჩვენი საქმეებით დაწყებულიყო ახალი ხელისუფლების საქმიანობა, მივედით იქამდე, რომ აქეთ გვკლავენ კრიმინალები და მკვლელები“, – აცხადებს ბუტა რობაქიძის დედა, ია მეტრეველი, რომლის მკვლელობაც ასევე იყო დაგეგმილი, თუმცა, ეს განზრახვა სისრულეში მხოლოდ იმიტომ ვერ მივიდა, რომ 2008 წელს ქვეყანა რუსეთთან ომში ჩაერთო.

ვინ შეუკვეთა პატიმარ ლაშა შავიძეს ბუტას დედის მკვლელობა, რატომ არ აღძრა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე და რას სთხოვს ყოფილ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს? ამ საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება ია მეტრეველი.

რა ვერსია გაქვთ, ვინ და რატომ იცილებენ მოკლული ახალგაზრდების მშობლებს? ცნობილია, რომ დაგეგმილი იყო თქვენი მკვლელობაც...

- პიროვნება, ვისაც ჩემი ლიკვიდაცია შეუკვეთეს, ამჟამად სასჯელს იხდის რუსთავის დაწესებულებაში. ამ ადამიანმა დაასახელა სახელი და გვარები. ბევრ ინფორმაციაზე საუბრობდა. არა მარტომ იმაზე, რომ ჩემი ლიკვიდაცია ჰქონდა შეკვეთილი, არამედ ბატონ იურისთან დაკავშირებითაც ამბობდა ბევრ რამეს.

კონკრეტულად რას ამბობდა იური ვაზაგაშვილთან დაკავშირებით?

– დაავალეს, რომ კომპრომატები მოეძებნა ზურა ვაზაგაშვილის წინააღმდეგ, ასევე ავალებდნენ, რომ მასზე უნდა გაევრცელებინა რაღაც ცუდი ინფორმაციები. ეს ადამიანი გახლავათ ლაშა შავიძე, რომელიც ამ წუთას თავს გრძობს დაუცველად, ის საფრთხეშია. ამბობს, რომ კარგად ექცევიან ციხეში, მაგრამ ამის მიუხედავად მისი სიცოცხლე არაა დაცული. იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შემდეგ მას გაუჩნდა განცდა იმისა, რომ შეიძლება მე მომიცილონო. ერთ–ერთი შემკვეთის გვარი, ვისაც ის ასახელებს, ეს არის ირაკლი ფირცხალავა. ასევე ასახელებს სხვა გვარებს. მე მივმართე სასჯელაღსრულებას და ვთხოვე, რომ უზრუნველყონ მისი სიცოცხლე. ასევე მივმართე სახალხო დამცველსაც, რომ ამ ადამიანის სიცოცხლე უნდა იყოს დაცული. ჩემი ლიკვიდაცია გადაიდო მხოლოდ იმიტომ, რომ 2008 წელს დაიწყო ომი და უთხრეს, რომ ახლა არ გვცალია ამისთვისო, თუმცა, ჩვენი შეთანხმება ძალაში რჩება და როცა დაგვჭირდება შეგეხმიანებითო. ამას ამბობს ეს პატიმარი.

რამდენადაც ვიცი თქვენ მიმართეთ საქმის გამოძიების მოთხოვნით პროკურატურას, თუ გაქვთ ინფორმაცია რა ეტაპზეა საქმე?

– მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, გამოძიება არც დაწყებულა.

როგორ ფიქრობთ რატომ არ დაიწყო გამოძიება, ეს კითხვები არ გაქვთ პროკურატურასთან?

– რა თქმა უნდა, მაქვს ეს კითხვები და მიკვირს, რატომ აქამდე არაა გამოძიება დაწყებული. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ის ხალხი, რომლებიც 9-წლიანი რეჟიმის პერიოდში ჩადიოდნენ საშინელებებს, ისევ თანამდებობაზე არიან და როგორ გამოიძიებენ რამეს, როცა ერთმანეთის მფარველობაში არიან. იმის მაგივარად, რომ მკვლელები დასჯილიყვნენ, ეს მკვლელები აქეთ ჩვენ გვკვლავენ. ეს არის საშინლება. ამ წუთას მეც საფრთხის ქვეშ ვარ, დაუცველი ვარ. რაც 9 წლის მანძილზე ვერ გააკეთეს, შესაძლებელია, ახლა გააკეთონ. ყოფილი ხელისუფლების დროს მოკლული ახალგაზდრების მშობლები, ახალი ხელისუფლების პირობებში აღმოვჩნდით ფიზიკური ლი კვიდაციის საფრთხის ქვეშ.

ასეთი პოზიციაც მოვისმინეთ - რატომ უნდა მოკლას დღეს ყოფილმა ხელისუფლებამ ეს ადამიანები, როცა მაშინ არ გააკეთა, როცა ხელისუფლებაში იყოო...

– როგორც გითხარით, ჩემი ლიკვიდაცია იყო დაგეგმილი, მაგრამ ომმა შეუშალათ ხელი. მერე უკვე აღარ აწყობდათ, რადგან ვითარება დაიძაბა და ჩემს ლიკვიდაციასაც შესაძლოა მოყოლოდა პროტესი, არ აწყობდათ ხალხის ქუჩაში გამოსვლა. ახლა პირიქით, მათ აწყობთ ხალხის ქუჩაში გამოსვლა, რომ შემდეგ მოხდეს არეულობა. დღეს უკვე აწყობთ ჩემი ლიკვიდაციაც. სწორედ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელი ურევია ბატონი იურას მკვლელობაში. იმ მკვლელების ხელი, ვისაც ბატონი იურა ასახელებდა.

ამ მკვლელებს შორის სახელდებოდა ირაკლი ფირცხალავა, ცააძე და ა.შ. ფირცხალავა დაასახელა ამ მკვლელობის ერთ-ერთ ორგანიზატორად იური ვაზაგაშვილის მეუღლემაც. ფირცხალავამ კი ხელისუფლებას საქმის სასწრაფო გამოძიებისკენ მოუწოდა. ამის მიუხედავად თქვენ თვლით, რომ კვალი მაინც აქეთკენ მიდის?

– ამას ველოდები სწორედ გამოძიებისგან. გამოიძიონ ეს საქმე და ფირცხალავაა, ცააძეა თუ ვინცაა, დაუმტკიცონ დანაშაული და მიეზღოთ საკადრისი. ის ხალხი, ვისაც ამდენი ხნის მანძილზე ასახელებდა ბატონი იური, ნამდვილად, რომ მაგათი ხელი ურევია ამ მკვლელობაში. ჩემდა სამწუხაროდ, ყველა ქუჩაშია. შეიმუშავეს კანონი, რომ პოლიციელს თუ არ მოეწონა ვინმე ქუჩაში ფეხით მოსიარულე, გონივრული ეჭვის საფუძველზე შეუძლიათ დააპატიმრონ. მე ვსვამ კითხვას, რატომ არ აჰყავთ ეს ხალხი გონივრული ეჭვის საფუძველზე, ესენი ქუჩაში რატომ უნდა დადიოდნენ?! ორ წელიწადნახევარი რატომ დასჭირდა იმას, რომ ის ხალხი, ვისაც ბატონი იური ასახელებდა, მიეცათ პასუხისმგებლობაში? სანამ არ მოკლეს, მანამ ყურადაც არ იღეს ბატონი იურის განცხადება. თითქოს ჩვენი ხმა არ ესმოდათ. ეს არის ამ ხელისუფლების სისუსტე და ასევე იმის შედეგი, რომ ადგილზე რჩებიან ძველი კადრები, გამომძიებლები, პოლიციის მაღალჩინოსნები, მოსამართლეები, რომლებმაც ნახევარი საქართველოს ბედი გაანადგურეს. ძალოვან სტრუქტურაში წამყვან თანამდებობაზე რჩება ის ხალხი, რომლებიც კლავდნენ და აწამებდნენ ჩვენს შვილებს. დასასჯელები უნდა დაისაჯონ.

როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორმა შეუშალა ხელი გამოძიებას, რომ ეს საქმე გამოეძიებინათ და დამნაშავეები დაესაჯათ?

— ეს ჩემთვის ძალიან გულსატკენია. მთელი 10 წლის მანძილზე ჩვენ ერთად გადავიტანეთ ძალიან ბევრი სირთულე და ვიდექით ტყვიებში და უბედურებაში. მინდა, მათ გავახსენო, ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჩვენი შვილების სურათებით ხდებოდა აქციები. ბუტას არცერთი სურათი მე არ დამიბეჭდია და არ მიმიტანია იქ, ეს მათი ნება იყო და სწორედ ამ დახოცილი ბიჭების გამო გამოვიდა ხალხი ქუჩაში. ეს ხალხი დღეს რომ ჩუმად არის, ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხეს ის, რომ საქმეები გამოეძიებინათ. ნადვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ ხელისუფლების პირობებში მომიწევდა ისევ დამნაშავეების დასჯაზე საუბარი, ბატონ იურას მოკლავდნენ და ისევ ჩვენ მოგვკალვდნენ იმის მაგივრად, რომ მკვლელები ყოფილიყვნენ დასჯილნი.

> **არ მინდა გამარჯვება წავაგოთ და დავბრუნდეთ იმ საშინელებებში, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ჰქვია.**

თქვენის საშუალებით კიდევ ერთხელ მინდა მივმართო ბატონ ყოფილ პრემიერს: **ბატონო ბიძინა, ბევრჯერ ვეცადე თქვენთან შეხვედრა, მაგრამ ვერანაირად ვერ მოვახერხე. როდესაც თქვენ გამოჩნდით პოლიტიკაში, ჩვენ ვიყავით ძალაგამოცლილი, ქართველ ხალხს მომავლის იმედი აღარ გააჩნდა სააკაშვილის რეჟიმის გამო. თქვენ იყავით როგორც გვირაბში შუქი და მთელმა საზოგადოებამ ირწმუნა თქვენი, დასძლია შიში და ერთ მუშტად შეიკრა. მაშინ ყველაზე ბედნიერი ვიყავი. ყველამ ერთად გავიმარჯვეთ და არ მინდა, რომ ასეთი გამარჯვება წავაგოთ და ისევ დავბრუნდეთ იმ საშინელებაში, რასაც სააკაშვილის რეჟიმი ჰქვია. აბსოლუტურად დაუცველები ვართ, ამ ყველაფერმა შეიძლება მიიღოს სერიული სახე. ბატონო ბიძინა, თქვენ ბევრი რამის უნარი შეგწევთ. დაბრუნდით, გადაგვარჩინეთ, ძალიან გთხოვთ.**

თამთა ქარჩავა

ჯაფარიძეების გვარის ისტორია

ჯაფარიძე ერთ-ერთი უძველესი და წარჩინებული გვარია საქართველოში. გვარის ფუძეა ჯაფარ რაც სხვადასხვაგბარად განიმარტება. ჯაფარა-ქართული სიტყვაა და ჩხიკვის სინონიმია. ჯაფარ-არაბთა ენაზე „მძლავრს" ნიშნავს, ასევე ჯაფარ ძველ არაბულ ენაზე ნაკადულს ნიშნავს თურმე (არაბისტი გოჩა ჯაფარიძის ინფორმაციით). ჯაფარ-საკუთარი სახელია კაცისა, გავრცელებული ახლო აღმოსავლეთში და კავკასიაში.

ჯაფარიძეთა გვარის წარმომავლობაზე მრავალი ლეგენდა თუ გადმოცემა არსებობს. ერთის მიხედვით ჯაფარიძენი თბილისის ამირა ჯაფარიანთა დინასტიიდან მოდიან, ხოლო იოანე ბაგრატიონი ჯაფარიძეების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „ამათი წინაპარნი არიან შთამომავლობით ჩინგიზის სულთანისა, ჯაფარად წოდებულისა, რომელნიცა ჩინგიზთაგან დადგინებულ იყო ჯაფარ სულთანი გამგედ რაჭის ადგილთა, რაჭიდამ მოსულან ქართლს არჩილ მეფის დროს 1634 წ. და ოდეს განდევლინ იქმნენ ჩინგიზნი საქართველოდამ, დაშთნენ გვარნი მათნი და მიიღეს მართლმადიდებლობაი და დაშთნენ თავადობისა ხარისხითა რომელნიმე და რომელნიმე ამათგანი აზნაურად და არიან მუნიდგანმუნ მცხოვრებნი და რომელნიმე მდაბალნი ამათგანი გვარნი მოსულნი ქართლსა შინა, რომელნიხ მოხსენებულ არიან ტრაქტატსა შინა." (ქც 1973 გვ 79). როგორც ვხედავთ იოანე ბაგრატიონის ცნობა ბევრ ანაქრონიზმს შეიცავს, ასევე ნაკლებად სარწმუნოა ჯაფარიძეთა თბილისის ამირათაგან წარმომავლობაც.

ქართულ წყაროებში ჯაფარიძის ხსენება პირველად გვხვდება X საუკუნეში, კერძოდ 980 წლით დათარიღებულ ხუნამისის (ტაოკლარჯეთი) წარწერაში მოხსენიებულია სულა ჯაფარის ძე (თუმცა ბოლომდე გარკვეული არაა ეს მამის სახელია თუ უკვე გვარი). ასევე X საუკუნის ბოლო XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება სვანეთში ლატალის თემის სოფელ მაცხვარიშის მაცხოვრის სახელობის სახელობის ტაძარში მდებარე გრაფიტული წარწერა სადაც იოვანე აბუჯაფარიძეა მოხსენიებული: „ქ. წმინდაო მაცხოვარო, შეიწყალე იოვანე აბუჯაფარიძეი".

დანამდვილებით კი შეგვიძლია დავასკვნათ რომ XIII საუკუნიდან ჯაფარიძე უკვე სრულფასოვანი გვარია, ამას ადასტურებს მესტიის ოთხთავის 13-14 საუკუნით დათარიღებული მინაწერები სადაც მოხსენებული არიან: მამისა, პირნათელი, ივანე, კახაბერ და ასევე სხვა ჯაფარიძეები. სვანეთში შედგენილ დოკუმენტებში ჯაფარიძეები ზოგან მჯაფარიანებად ან მჯაფარიძეებადაც არიან ჩაწერილი (ასო მ ართრონია). ამ საბუთიდან ჩანს რომ ჯაფარიძეთა გვარის წარმომადგენლებს პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავთ სვანეთში, მათ უკავიათ სვანეთის თავად ხევისარის (სახელმწიფო მოხელე) და მელომის (ჯარის, ლაშქრის მეთაური) თანამდებობები, ფლობენ მამულებს, ეკლესიებს და ყმა გლეხებს. მესტიის ლეხთაგის XIII საუკუნის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის („ლამარია") ეკლესიის ქტიტორი პირნათელ ჯაფარიძეა, ტაძარში გამოსახულია თავად პირნათელის და მისი ძენის: ასლან,

ივანე, დოდილას და ასულნის: ჯიმაშდის, ჟურჟუის, მარიამის (ან მარეხი) ფრესკები. ასევე მესტიაში მდებარე ფუსდის (უფლის, სამების) სახელობის ტაძარიც ჯაფარიძეთა საკუთრებაში იყო.

მე-15 საუკუნიდან ჯაფარიძეთა გვარის წარმომადგენლები უკვე რაჭაშიც ჩანან, 1432 წლით დათარიღებულ საბუთიდან ჩანს რომ რაჭის ერისთავ ციცი ჭარულიძისა და კოტრიძეთა სასისხლო დავის (პალ 1991 : 294) გარჩევის დროს სხვა დიდებულ ფეოდალებთან ერთად (ქვენიფლეველი, წერეთელი, იაშვილი, გარაყანიძე ქუაბულიძე...) იხსენიება როსტევან ჯაფარიძეც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1503 წლით დათარიღებული (ადრე ეს საბუთი შეცდომით 1432 წლით იყო დათარიღებული) ალექსანდრე II იმერთა მეფის მიერ გაცემული საბუთი ე.წ. „ჯაფარიძეთა სასისხლო სვანთა მიერ გარდახდილი". აქ მოთხრობილია სარგის (და მისი ძმების აბესალომ და ვამეყ) ჯაფარიძესა და სვანების ბრძოლაზე, როგორც ამ საისტორიო საბუთით ირკვევა ჯაფარიძენი იმ დროს რაჭის უპირველესი ფეოდალები იყვნენ, მათ შეეძლოთ სრულიად რაჭველთა შეყრა, ამას ადასტურებს, იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის სიტყვები: „...ასე ებრძანა მეფეთ-მეფესა პატრონსა ალექსანდრეს თუ ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო". მას შემდეგ რაც სვანებს ჯაფარიძენი დაუხოცავთ სარგის ჯაფარიძის ჯარისკაცებს გზები გზები შეუკრავთ და ბლოკადაში

მოუქცევიათ სვანეთი რის შემდგომაც ამ მხარეს 7 წელი არ მიეწოდებოდა მარილი და ღვინო. ამის შემდგომ სვანთა დელეგაცია ჩასულა დადიანთან და მისთვის უთხოვიათ შუამდგომლობა მეფესთან რათა მეფეს შეერიგებინა ისინი ჯაფარიძეებთან, ალექსანდრე მეფეს კი შეუთვლია სვანთათვის: რასაც ჯაფარიძენი მოგთხოვენ სისხლის ფასად იმდენი გადაუხადეთ და მერე შეგარიგებთო, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი არ გამოვაო: „თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიხდიანო, სუანთ გზას მივცემო და ჯაფარიძეთაც ჩამოვხსნითო, თუ არა და ჯაფარიძის საქმეს არ გადავწყვეტო, ჯაფარიძენი უბრალოდ დახოცესო, მწუედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად რაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგუიანო, და თუ ამ ჯაფარიძის საქმეს გადასწყვუეტენო, მოიყენე კარსა და რა რიგადაც სჯობდეს და ემართებოდნენ, ჯაფარიძესაც გარდაუწყუიტონ და შემოვიწყობთო". ჯაფარიძეებს კი დიდი ფასი მოუთხოვიათ: „ქნეს მოკითხული და სიგელიც მოიტანეს ჯაფარიძეთა და მეტად უზომოდ დიდი სისხლი და სანსახშირე ეწერა". სვანები იძულებული ყოფილან დაეკმაყოფილებინათ ჯაფარიძეთა მოთხოვნა, რის შემდეგაც თავად ჯაფარიძეთა მფლობელობაში გადავიდა სვანეთის მთიულეთი (დღევანდელი მთის რაჭა), ზედაქალაქი (ალბათ ღებია ნაგულისხმები), ღების ირგვლივ სოფლები - ჭიორა, გლოლა, გადაეცათ აგრეთვე ციხეები, საეპისკოპოსო ეკლესია, ლაშხეთს გადაეცათ სოფელი მონასტრით თავისი ჯუარ-ხატებიანად, საერთო ჯამში 400 კომლი გლეხის და 4 კომლი აზნაურის ოჯახი, აგრეთვე 300 აბჯარი, 300 ვერცხლის ჭურჭელი, 300 ქუაბი, 300 ჯორი, 300 საუკეთესო ულაყი, სამასი ნებიერი, 1000 ცხვარი და სამასი ლიტრი სანთელი, აგრეთვე სვანები ვალდებულებას იღებდნენ ბაჟი გადაეხადათ ჯაფარიძეთათვის გზებზე გავლისას (საბუთი ინახება სპბ აღმოს. ინსტიტუტში ბროსეს არქივში. პ23 (პ18/64).

ვახუშტი ბატონიშვილი რაჭის აღწერისას ამ მხარეს ოთხ სათავადოდ ყოფს: საწულუკიძეოდ, საიაშვილოდ, საჯაფარიძეოდ და საერისთავოდ.

ჯაფარიძეთა გვარის დაცემა როგორც ჩანს XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება როდესაც რაჭის ერისთავებმა (ჩხეიძეები) გაძლიერება დაიწყეს.

მე-17 საუკუნეში იმერეთის მეფის კარზე ჩანს მოლარეთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე. იმავე დროს ხოსია ჯაფარიძე იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის ელჩია მოსკოვში. ამავე საუკუნეში მთავარეპისკოპოსია სვიმონ ჯაფარიძე, რომელიც ძმაა მოლარეთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძისა. რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და ევლიევი წერდნენ: „ივნისის 5-სა დღესა... მოვედით ლომკაც ჯაფარიძის სამფლობელოში, სოფელ მაცხოვრისში"-ო. გ. ბოჭორიძის აზრით ეს უნდა იყოს სოფელი ბარი. სოფლის (ბარი) ეკლესია მაცხოვრის სახელობისაა. ამ სოფლის მებატონე ყოფილა ლომკაც ჯაფარიძე იმერეთის სამეფოს მოლარეთუხუცესი, აქაური იყო მისი ძმაც მთავარეპისკოპოსი სვიმონი.

ასევე ირკვევა, რომ ონის ციხე ჯაფარიძეებს აუშენებიათ. ეს ციხე მათი ერთ-ერთი რეზიდენცია ყოფილა. ეს ირკვევა შემდეგი წყაროდან „Обозрение древних здании в Закавказском Крае", სადაც წერია: „В местечке Они крепость построена тавадом Джапарой Джапаридзевым в 15 столетии. Посреди сей крепости находится разваливавшаяся церковь..." როსტომ რაჭის ერისთავის მიერ თვალდათხრილი ჯაფარ ჯაფარიძე ამ ციხეზე სწერს ლექსად როსტომს: **„ონისა ციხე წამართვი და ზედ პატარა ქალაქი...ღები და ჭიორა წამართვიო" (ლადო ჯაფარიძის წიგნიდან „მოგონებები და ჩანაწერები")**.

1752 წელს რაჭის ერისთავმა როსტომმა თავადი ჯაფარიძეები ამოხოცა, თვალები დათხარა თავად ჯაფარ ჯაფარიძეს და მიისაკუთრა მათი მამულები. 1769 წელს მას შემდეგ რაც სოლომონ პირველმა გააუქმა რაჭის საერისთავო, შეიპყრო და თვალები დათხარა როსტომ რაჭის ერისთავს, ჯაფარიძეებმა რაჭის მამულები დაიბრუნეს. ამ ამბავთან დაკავშირებით დიდი აკაკი წერეთელი მოგვითხრობს თავის ნოველაში, რომ ბოლოს ორივე თვალდათხრილი მოხუცები თავადი ჯაფარ ჯაფარიძე და როსტომ ერისთავი ტაძარში შეხვედრიან ერთმანეთს დღეობაზე, როსტომს სიმღერის დროს ხმით უცვნია ჯაფარ ჯაფარიძე, მისულა და გადახვევია, ესე შერიგებულა ერთ დროს ორი მოსისხლე მტერი ერთმანეთს.

წყაროებიდან ასევე ვიგებთ, რომ ჯაფარიძეების გვარიდან სამღვდელოების წარმომადგენლებიც ყოფილან, მაგალითად სოლომონ პირველის კარის მწირველი იყო მღვდელი ონოფრე ჯაფარიძე, 1777 წელს მეფე სოლომონმა ონოფრეს წყალობის წიგნი მისცა: **„...შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ... მეფეთ მეფემან... სოლომონ... შენ, ჩვენს კარის მწირველს მღვდელს ჯაფარიძეს ონოფრეს და შვილთა შენთა რაჟდენს და კვიროზს... წყალობა გიყავით და გიბოძეთ სევას გლეხი დემეტრაშვილი, დათუას შვილები გოგიტა და ივანიკა, ბერუკი და მისი შვილი გელიტა და მისი ძმისწული ქრისტესია..."** (სს 1910-253). სოლომონ მეორის კარის მწირველია მღვდელი რაჟდენ ჯაფარიძე (ალბათ ონოფრეს შვილი), რომელიც ასევე ყმამამულის წყალობას იღებს მეფისგან (სს 1910-263).

ჯაფარიძეთა გვარის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმერეთის 1819-20 წლების აჯანყებაში (ე.წ. „ცერკოვნი ბუნტი"). სოფელ ფუტიეთთან გამართულ სამშობლოსათვის ბრძოლაში გმირულად დაეცნენ თავადები ივანე, გრიგოლ და ზურაბ ჯაფარიძეები.

ქართლში ჯაფარიძეების ერთი შტო ცხოვრობდა სოფელ დღვრისში (ამჟამად ქალაქ ცხინვალის ფარგლებშია), კახეთში სოფელი ვანთა თავად ჯაფარიძეების კუთვ-

მიმდინარეობს ჟურნალ „რაჭველების" გამოწერა

ნილება იყო. თავადი ჯაფარიძეები იყვნენ იმერეთის მეფის ნაცვლები დიგორში (ოსეთი), როგორც ცნობილი გერმანელი მოგზაური გულდენშტედტი აღნიშნავს, თურმე როდესაც ოსები გადასახადის გადახდას დააგვიანებდნენ, თავადი ჯაფარიძეები სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართავდნენ. ასევე მოგზაური ბლარამბერგი აღნიშნავს, რომ დიგორში ოსებთან იყვნენ გაძიძავებული თურმე თავად წერეთლების და ჯაფარიძეების ვაჟები, რომლებსაც ოსები საბრძოლო ხელოვნებას ასწავლიდნენ.

რაც შეეხება ჯაფარიძეთა სვანეთში მოღვაწეობას, წყაროებიდან ირკვევა, რომ ისევე როგორც რაჭასა და იმერეთში, ასევე XVII საუკუნიდან ეს გვარი თმობს თავის წამყვან პოზიციებს ამ რეგიონშიც. სვანური გადმოცემით ჯაფარიძეებმა თურმე მძიმე უღელი დაადგეს სვანებს, ყმა გლეხები ჯაფარიძეებს ნატურალურ და შრომით ბეგარას უხდიდნენ. ყმა გლეხები საჭიროების შემთხვევაში ვალდებული ყოფილან საომრად წაყოლოდნენ, მგზავრობისას გაეცილებინათ და სხვა სამსახურიც გაეწიათა რასაც ბატონი დაავალებდა. გადმოცემით ერთ დღეს რომელიღაცა ყმა გლეხი წასულა თავის ყანაში სამუშაოდ, ეს რომ ჯაფარიძეს დაუნახავს, გლეხისთვის ლანძღვა-გინება და ცემა დაუწყია, როგორ თუ ჩემს მამულში არ მუშაობო. მოთმინება დაკარგულ გლეხს თავისი მებატონე მოუკლავს. ეს ამბავი უმალვე თითქოს მთელმა ჯაფარიძეებმა და მათმა ყმებმა გაიგეს, როდესაც ყველანი შემთხვევის ადგილზე მისულან, იქ შეტაკება მომხდარა და მრავალი ჯაფარიძე დაუხოცავთ. აი ამ ამბის შემდეგ ჯაფარიძეთა გვარის პოზიციები შესუსტებულა სვანეთში. თუმცაღა როგორც წყაროებიდან ირკვევა XIX საუკუნეში ჯაფარიძეები ბალსზემო სვანეთში ისევ დიდი გავლენით სარგებლობდნენ. XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთმა თვალი სვანეთსაც დაადგა და გადაწყვიტა ზემო სვანეთის დამორჩილება (ქვემო სვანეთი როგორც დადიანის სამფლობელო უკვე იმპერიის ფარგლებში იყო), გადაწყდა სვანეთის მფლობელების მიმხრობა, მათთვის გულის მოგების (მოსყიდვის) მიზნით სპეციალურად ხაზინიდან თანხებიც გამოიყო. 1830 წელს ლევან დადიანს (ბერ გელოვანის და პორუჩიკ წერეთლის თანხლებით) გრაფ პასკევიჩისთვის ფიცის ჩამოსართმევად წარუდგენია ბალსზემო (ე.წ. „თავისუფალი სვანეთის") სვანეთის 49 აზნაური; მათ შორის მოხსენიებული არიან : მურზაყან, დადაშ, თათარყან, სვინჩი, ისლამ, ციოყ, ნამსურ, ომანაი, ჯანსუღ, ჟღენტ-ჯაფარიძეები. თუმცაღა ამ შეხვედრის მერე მეფის მთავრობამ ბალსზემო სვანეთის შეერთების საკითხი იმთავითვე ვერ მოაგვარა.

მაგრამ რათქმაუნდა თავისუფალი სვანეთის რუსეთის იმპერიასთან შეერთება გარდაუვალი იყო და საბოლოოდ ეს აქტი 1853 წელს დასრულდა, როდესაც ბლასზემო სვანეთის ცალკეული თემების მამასახლისებმა ხელი მოაწერეს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის დოკუმენტს მეფის მთავრობის რწმუნებულთან გენერალ ბართოლომეისთან. **ეს თარიღი (1853 წელი) ითვლება სვანეთის რესპუბლიკის (ბალსზემო სვანეთის თემთა კავშირის) დაცემის დღედ.** ასევე 1853 წელს აგვისტოში მოხდა მესტიის თემის შესვლა იმპერიის შემადგენლობაში, ბართოლომეისთან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მესტიის თემის მამასახლისმა აზნაურმა დადაშ ჯაფარიძემ. ამის შესახებ ეგნატე გაბლიანი საინტერესო ამბავს ყვება: „ლენჯერიიდან ბართოლომეი გადავიდა მესტიაში, სადაც ის ესტუმრა დადაში ჯაფარიძეს, რომელმაც უცხო სტუმარი გააოცა როგორც მასპინძლობით, აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ამ უცხო სტუმრის სადილობის დროს სუფრაზე არავის ნება არ მისცა ჩვეულებრივად სიმღერები და ცეკვა-თამაში გაემართათ იმ მიზეზით, რომ რამოდენიმე თვის წინათ მისი შვილის ცოლი, გარდაფხაძის ქალი, ერთ ლეჩხუმელ აზნაურს წაუყვანია ცოლად და ამის გამო მისი ოჯახი ყოფილა დამგლოვიარებული. ბართოლომეი, რომელიც მისი გულის ტკივილების შემსუბუქებას ათასნაირი ნუგეშის ცემით შეუდგა, დადაშიმ ასე უპასუხა თურმე: „მთელი სვანეთის ბუმბერაზი მთები რომ ოქროდ იქცნენ და ამ შეურაწყოფის ასანაზღაურებლად მე მომცენ, მაინც ვერ დავკმაყოფილდები, სანამ შურს არ ვიძიებო".

ოქიექტურობა მოითხოვს ავღნიშნოთ, რომ რუსეთმა თავისი მმართველობის დამყარება თავისუფალ სვანეთში მხოლოდ IX საუკუნის 70-იან წლებში მოახერხა, მხოლოდ სვანეთის 1875-76 წლების აჯანყების ჩახშობის მერე (ცნობილია როგორც „ხალდეს აჯანყება") დამყარდა თავისუფალ სვანეთში ცარიზმის მძიმე რეჟიმი. აღსანიშნავია რომ აღნიშნული აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო აზნაური სვინჩი ჯაფარიძე, რომელიც შემდგომ რეპრესირებული იყო (გარდაიცვალა ციხეში).

სვანეთის კეთილშობილ ვარგთა გვარებში (დადაშქელიანი, იოსელიანი, დევდარიანი, ქურდიანი, გარდაფხაძე, გელოვანი, ჩარკვიანი, ჟორჟოლიანი, გოშთელიანი, ჯაფარიძე, ყიფიანი) ჯაფარიძეთა გვარი გადმოცემის მიხედვით გამოირჩეოდა სიდარბაისლით და პატიოსნებით, სვანური სასამართლოს დროს როდესაც მასში მონაწილე ყველა მხარე ვალდებულია ხატზე დაიფიცოს მხოლოდ ჯაფარიძეთა გვარის წარმომადგენლებს (გადმოცემით ჯაფარიძეთა გვარის მურზაყანშერთა შტოზეა საუბარი) შეეძლოთ ფიცის მაგივრად ულვაშზედ გადაესვათ ხელი და ეს მოქმედება დაფიცების ტოლფასად ითვლებოდა. ასევე სვანეთში ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის როგორიცაა ეკლესიის შეურაწყოფა (გაძარცვა) დაწესებული იყო ერთი ჯაფარიძის სისხლის ფასი „...ჩუენ ხევმან ერთობელმან მესტიისამან, ერთობილთა დიდთა და მცირეთა, ვარგთა და გლეხთა, ყოველთა, ერთმანეთისა ნდომითა დამოწმებითა, მას ჟამსა, ოდეს ხიდსა ზედა ეკლესია ავაშენეთ. იგი ეკლესიისადა ხიდისადა მთასა ვინცა რაცა შესცოდოს, ანუ სეტის შესავალსა შიგა ვინცა რაცა შესცოდოს, ერთისა ჯაფარიძისა და ანუ იუსელიანისა

სისხლი მისითა სანახშიროთა ედვას მატა და სისხლად ვერჩოდეთ".

1850 წელს გამოცემულ თავადთა და აზნაურთა (ე.წ. „ხავერდის წიგნი") ოჯახების სიაში აღრიცხულია ტავად ჯაფარიძეთა 9 ოჯახი და აზნაურ ჯაფარიძეთა 73 ოჯახი. ხოლო 1870 წლის სვანეთის აღწერისას აზნაურ ჯაფარიძეთა 18 ოჯახი შეყვანილ იქნა „ხავერდის წიგნში" (ამ დროს ზემო სვანეთში დაფიქსირდა სულ 61 აზნაურის სტატუსის მქონე ოჯახი). აღწერის მიხედვით ჩანს რომ ჯაფარიძეთა თავადური შტოს წარმომადგენლებს უცხოვრიათ რაჭაში (2 ოჯახი), იმერეთში (3 ოჯახი), ქართლში (2 ოჯახი) და კახეთში (2 ოჯახი). აზნაური ჯაფარიძეები სახლობდნენ სვანეთში, რაჭაში, იმერეთში, ქსნის ხეობასა და კახეთში. საინტერესო ფაქტია რომ რაჭაში და იმერეთში მრავალჯერ ფიქსირდებიან გლეხი ჯაფარიძეებიც. ასევე ეთნოგრაფიულ მონაცემებზე და გადმოცემებზე დაყრდნობით გვაქვს ინფორმაცია რომ შიდა-ქართლელი ბეროზაშვილები (სოფელი ტეზერი), აგრეთვე დიგორელი (ოსეთი) მიტციევები (აული მახჩესკი), ძირად რაჭველი ჯაფარიძეები ხოლო ყარაჩაელი გოჩიაევები ძირად სვანი ჯაფარიძეები ყოფილან.

ჯაფარიძეთა გვარი საქართველოს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მკვიდრობდა და მკვიდრობს. ძირითადად ეს მხარეებია: სვანეთი, რაჭა, იმერეთი, ქართლი, კახეთი, სამეგრელო, გურია და აჭარა. ჯაფარიძები იყვნენ მეფე ვახტანგ VI ამალაში რუსეთში გამგზავრებისას. მაგ დროიდან ისინი დასახლდნენ მოსკოვის ქართულ კოლონიაში, ასევე უკრაინაშიც მიიღეს რუსი მეფისგან მამულები, ჯაფარიძეები საფრანგეთის, ა.შ.შ-ს და არგენტინის ქართულ ემიგრაციაშიც ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ.

ჯაფარიძეთა გვარიდან ბევრი გამორჩეული და ცნობილი პიროვნება გამოვიდა: მთასვლელი ალიოშა ჯაფარიძე, მხატვარი უჩა ჯაფარიძე, მწერალი რეზო ჯაფარიძე, არქეოლოგი ოთარ ჯაფარიძე, ისტორიკოსი მეუფე ანანია ჯაფარიძე, რევოლუციონერი ბაქოს აღმასკომის თავჯდომარე 26 კომისართაგანი პროკოფი ჯაფარიძე, სცენის და ეკრანის მშვენება მედეა ჯაფარიძე და სხვა.

ღმერთისა და საქართველოსთვის, ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, ჯაფარიძეთა გვარის მეომრები გამოდიოდნენ „ჟამსა ერთობისასა" ერთიანი ქართული ლაშქრის მემარჯვენედ მიმსვლელ-მცემელთა სადროშოში, „ხოლო შემდგომ განყოფისა", ცალკერძ იმერეთის სამეფო ლაშქრის მემარცხენე და მემარჯვენე სადროშოებში და ცალკერძ ქართლის სამეფო ლაშქრის მემარცხენე სადროშოში.

დღესდღეისობით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ჯაფარიძის გვარს 7500 მეტი ადამიანი ატარებს. ღმერთმა დალოცოს და ამრავლოს გვარი ჯაფარიძეთა.

ზვიად ჯაფარიძე

64-ე გაზაფხული ცათა სასუფეველში

გიორგი გაგოშიძე

რაჭის ტექნიკურმა ინტელიგენციამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შ.პ.ს „ამბროლაურის ავტოგზა 10"–ის დირექტორი გიორგი (გოგი) გაგოშიძე.

იგი დაიბადა 1951 წლის 7 თებერვალს ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოში. 1968 წელს დაამთავრა ჭრებალოს საშუალო სკოლა, ხოლო 1974 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი – სამთო–ინჟინერ ჰიდროგეოლოგის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სრულიად ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო შაორის ჰიდროგეოლოგიურ პარტიაში, მომდევნო წლები იმუშავა სამეგრელოს ჰიდროგეოლოგიურ პარტიაში ინჟინერ–გეოლოგად, ხოლო შემდეგ ამბროლაურის მე–10 საგზაო სამმართველოში სამუშაოთა მწარმოებლად. წლების განმავლობაში მუშაობდა სოფელ ჭრებალოს ღვინის ქარხანაში, ხოლო 2009 წლიდან იყო შ.პ.ს „ამბროლაურის ავტოგზა 10"–ის დირექტორი. ყველგან სადაც კი ბატონი გოგი მუშაობდა ნათელ კვალს ტოვებდა. იგი დაკისრებული მოვალეობისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით და კომპეტენტურობით გამოირჩეოდა. იყო საქმისადმი თავდადებული, ენერგიული, ერთგული და მისაბაძი ხელმძღვანელი.

ვინც გოგი გაგოშიძეს პირადად იცნობდა, ყველა დამეთანხმება, რომ იგი უღალატო, უაღესად კეთილშობილი და ნათელი პიროვნება იყო. ერთგულად იცოდა ადამიანის გვერდით დგომა, მისთვის ადამიანთა დახმარება ჩვეულებრივი მოთხოვნილება იყო და ყოველივე ამას უანგაროდ აკეთებდა.

ბატონმა გოგიმ დატოვა შესანიშნავი ოჯახი – მეუღლე, ორი ქალიშვილი და 4 შვილიშვილი.

გოგი გაგოშიძე დააკლდა არამარტო ოჯახს და ახლობლებს, არამედ დააკლდა მთელ რაჭას, სრულიად საქართველოს.

დაე, ნათელში იყოს მისი ლამაზი სული და მშვიდად დაივანოს ცათა სასუფეველში.

ოთარ კერვალიშვილი

რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირის თანათავმჯდომარე

მიმდინარეობს ჟურნალ „რაჭველების" გამოწერა

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA

40-03-2-201501091528

25 დეკემბერი 2014 წ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს
ბატონ **კახა კალაძეს**

ბატონო **კახა**,

რაჭის სახოგადოების მოთხოვნით რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირს მონიტორინგი აქვს დაწყებული რაჭის განვითარების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ყველა მშენებლობა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ან მომავალში განხორციელდება რაჭის რეგიონში, გახდება რაჭის სახოგადოების განხილვის საგანი.

ახლახან შევიტყვეთ, რომ უცხოელმა ინვესტორებმა დაიწყეს საპროექტო-საძიებო სამუშაოების ჩატარება მდ. რიონის, აჯანა-ჭრებალოს მონაკვეთზე, სადაც გათვალისწინებულია ჰესის მშენებლობა. მიუხედავად ენერგეტიკის სამინისტროს დაპირებისა, რომ მსგავსი პროექტის განხორციელებისას მოხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება. მთელი რიგი საკითხები თართო სახოგადოებისათვის უცნობია (სად მოხდება კაშხლის მშენებლობა, რა სიმაღლის იქნება კაშხალი, რა მოცულობის იქნება წყალსაცავი, სანამდე მიაღწევს შეტბორვა და ა. შ.). გეოლოგიურად შესასწავლია სავანურადო ჰესის განთავსების ადგილი, კერძოდ, შეტბორვის ქვემო წელში დიდი ნაპრალების მქონე კირქვოვანი გრუნტებია, წყლის ზემოქმედებით მოსალოდნელია მათი დაშლა, შეტბორვის შუა წელში მდ. რიონის ორივე ნაპირი დამეწყერია, მოსალოდნელია ამ მეწყერული კერების მკვეთრი გააქტიურება, სოფ. ქვედა ღვარღიის, სოფ. ბაჯის, სოფ. ოადიშის და სოფ. ქვიშარის მიმდებარე ტერიტორიებზე.

მთლიანად შესასწავლია გარემოზე მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების საკითხი, კერძოდ, წყლით დაიფარება მდ. შარულას შესართავი მდ. რიონთან, აქვე მდებარეობს მშვენიერი ტყრიესტული ბაზა, ისტორიული ღვარღიის ხიდი, გაძნელდება სოფ. ღვარღიაში მისვლა, წყლით დაიფარება ქუთაისი-აჯანა-მამისონის ულაღელი საავტომობილო გზის მონაკვეთი, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს ე.წ. „თორაშის ქარა", რომელიც სოფ. ქვიშარის მიმდებარე ტერიტორიაა და მისი ერთადერთი სახნავ-სათესი და საძოვარია. კაშხლის სიმაღლეზეა დამოკიდებული დაიფარება თუ არა ასფალტბეტონის ქარხნის ტერიტორია, სოფ. ჭრებალოს რიონისპირა ქარები და ა. შ. „წყლის სარკის" აორთქლების გამო მოიმატებს ჰაერის ტენიანობა, შეიცვლება კლიმატი, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს „ხვანჭკარას" და სხვა უნიკალური ლვინოების დასამზადებელი ყურძნის ჯიშებზე. ჩვენი აზრით, ისეთი დამახასიათებელი მიკროკლიმატის არეალში, როგორც ქვემო რაჭის ეს რეგიონია, ბუნების მიმართ ასეთი უხეში ტექნოკრატიული აზროვნებით მიდგომა დაუშვებელია.

მოკლედ, წინასწარი მონაცემებით 44 მეგავატი სიმძლავრის სავანურადო ჰესი, რაჭისათვის უთერო დიდი ზიანის მომტანია, ვიდრე მისი სარგებელი, რომელიც ძირითადად „დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით" გამოიხატება.

რაჭისათვის ამ ჰესის მშენებლობაზე გაცილებით უთერო მნიშვნელოვანია დღეიდან უყურადღებოდ მიტოვებული რაჭის რეგიონის გაზიფიკაციის საკითხი (ყოველ შემთხვევაში 2012 წლის ბოლოს როცა წინა ხელისუფლებამ საარჩევნოდ „დაამთავრა" ამბროლაურ-ჭრებალოს გაზსადენი, მას შემდეგ ორი წელი გავიდა და ამ საკითხზე „არასაიდან ხმა არსით ძახილი" არ ისმის. (იხ. წერილის ასლები). ასევე შუა გზაზეა მიტოვებული და მხოლოდ სოფ. სორამდეა მიყვანილი ამბროლაურ-ონის ცენტრალური გაზსადენი.

გთხოვთ მოგვცეთ კონკრეტული განმარტება ზემოთნიშნულ საკითხებზე.

პატივისცემით,
რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირის დამფუძნებელი, ისტორიკოს-ეთნოგრაფი,
აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ლევან ფრუიძე

ამავე კავშირის თანათავმჯდომარე,
სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდის თავმჯდომარე
საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ოთარ კერვალიშვილი

ამავე კავშირის თანათავმჯდომარე, ბიზნესმენი
იაგო გოგრიჭიანი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA

40-03-2-201501091528

რას პასუხობს ენერგეტიკის სამინისტრო ოთარ კერვალიშვილს და სრულიად რაჭის საზოგადოებას

თქვენი 2014 წლის 18 დეკემბრის №25 წერილის პასუხად, რომელიც ეხება რაჭის ტერიტორიაზე მდინარე რიონის, ალპანა-ჭრებალოს მონაკვეთზე ჰესის მშენებლობის საკითხს, გაცნობებთ შემდეგს:

2014 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობისა და „Calik Enerji Snayi ve Ticaret A.S – ს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. აღნიშნულის თანახმად, ინვესტორმა კომპანიამ იკისრა ვალდებულება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, განახორციელოს პოტენციური ალპანა სადმელის ჰესების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და ტექნიკური პროექტი, შემდგომი ჰესების მშენებლობა, ფლობა, ოპერირების მიზნით.

ზემოაღნიშნული კვლევების დროს უნდა დადგინდეს და შეირჩეს სათავე კვანძის, ჰესის შენობის და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების ადგილმდებარეობები და გეომეტრიული პარამეტრები, ასევე შესწავლილი უნდა იქნას ჰიდროლოგიური, მეტროლოგიური მონაცემები მდინარის ენერგეტიკული პოტენციალის ეფექტურად ათვისების კუთხით, ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით უნდა დაადგინოს ჰესების საანგარიშო ხარჯი, ასევე უნდა განახორციელოს სხვადასხვა ალტერნატიული ენერგეტიკული სქემების დამუშავება და ზემოაღნიშნული კვლევების გათვალისწინებით შეირჩეს მდინარის კონკრეტულ მონაკვეთზე ყველაზე ოპტიმალური ალტერნატივა ტექნიკურ-ეკონომიკური, გარემოს დაცვითი და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით. ყოველივე ამის შემდგომ, კომპანია ვალდებულია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგინოს კვლევების საფუძველზე (ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით) ალპანაჰესის და სადმელჰესის შერჩეული საუკეთესო ალტერნატივა, მხოლოდ ამის შემდგომ მიღებული იქნება გადაწყვეტილება პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით.

პოტენციური ალპანისა და სადმელის ჰესების განთავსების სავარაუდო პარამეტრებია:

ალპანა ჰესი – მდ. რიონი, 438-366 მ.ზ.დ. ნიშნულებში, სავარაუდო დადგმული სიმძლავრით 70,6 მგვტ სავარაუდო ელექტროენერგიის წლიური გამომუშავებით 356,8 მლნ.კვტ.სთ.

სადმელი ჰესი – მდ. რიონი, 655-504 მ.ზ.დ. ნიშნულებში, სავარაუდო დადგმული სიმძლავრით 153 მგვტ. ელექტროენერგიის წლიური გამომუშავებით 637,6 მლნ.კვტ.სთ.

რაც შეეხება რეგიონის გაზიფიცირების საკითხს ამ დროისათვის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში მიმდინარეობს 2015-2016 წლების გეგმა-გრაფიკის შემუშავება ბუნებრივი აირის არ მქონე სოფლების გაზიფიცირების შესახებ, რომელსაც მოგაწვდით მოგვიანებით.

ილია ელოშვილი
მინისტრის მოადგილე
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

მევენახის კალენდარი

ვენახის მოვლა-პატრონობა

ნებისმიერი ვენახი ყოველწლიურად ერთსა და იმავე პროცედურას გადის, მაგრამ მევენახეს თითოეული ვარიანტის არჩევის უამრავი შესაძლებლობა გააჩნია. ქვემოთ ნაჩვენებია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანებიდან რამდენიმე.

მევენახის გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს კლიმატი, ტრადიციები, გამორჩენის მიღების სურვილი და ხარისხისკენ სწრაფვა. ბოლო ათ წელიწადში მევენახეობის შესახებ მეცნიერებამ ძალიან შორს გადადგა ნაბიჯი. აკადემიური კვლევის შედეგები ახლა ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოსთვის.

ასე რომ, მოწინავე მევენახეებს, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, აურაცხელი ოდენობის რჩევებისთვის ყურის დაგდება უწევთ. უმრავლესობა სჯერდება დროში გამოცდილ ტრადიციულ ტექნოლოგიებს, თუმცა, ამასთანავე, არციმ ახალი პროდუქტებისა და მეთოდების იგნორირებას ახდენენ, რომლებიც მევენახის მძიმე შრომას ამსუბუქებს.

ზამთარი

გასხვლა

არსებობს ოთხი ძირითადი ვარიანტი:

- ა) რქების გასხვლა (რაც უდიდეს ოსტატობას მოითხოვს);
- ბ) ლერწების გასხვლა (უფრო უბრალო და სწრაფი ტექნოლოგია);
- გ) მანქანით გასხვლა (არსებითად — ლერწების გასხვლა);
- დ) მინიმალური გასხვლა (არსებითად — ზამთრის გასხვლის გამორიცხვა);

მექანიკურ გასხვლას, ჩვეულებრივ ემატება ხელმე ხელით გასხვლა, ან «მოსწორება». ნებისმიერ შემთხვევაში ხელით გასხვლას მივყავართ კვირტის უფრო გვიან გამოტანამდე და მის გაცილებით გვიან გაშლამდე.

მაზაფხული

გადარგვა

ვაზის გადარგვის ყველაზე ოპტიმალური დრო ადრეული გაზაფხულია, როდესაც ნიადაგმა უკვე დაიწყო გათბობა, მაგრამ ჯერ კიდევ ნოტიოა.

თუ დაფესვიანება ძალიან ნაადრევად ხდება, ფესვები შეიძლება დალპეს;

ახალ სამყაროში ვაზებს ხშირად გრილ საცავებში ინახავენ და ზაფხულის დასაწყისში რგავენ.

ფოთლების შეწამვლა

პირველი შეწამვლა ხდება კირისა და გოგირდის ნარევი ხსნარით «ფაფუკი კვირტის» სტადიაში (როდესაც ისინი იბერება და ფუმფულა ხდება) სოკოსგან თავდაცვის მიზნით. თვით ორგანული მეღვინეობისა და მინიმალური შეწამვლის მომხრეები იყენებენ ამ ხსნარს ან ბორდოს ნარევს (სპილენძის სულფატისა და კირის წყლის ხსნარის).

ნიადაგის დამუშავება

სულ უფრო და უფრო მეტი მეღვინე აღიარებს, რომ არსებობს არჩევანი ტრადიციული ნიადაგის მოხვნის სამიწათმოქმედო პრაქტიკასა და მის ხელშეუხებლობას შორის — ამ შემთხვევაში სარეველას მოსპობისა და მეტისმეტად მაღალი ბალახისთვის გამოიყენება ჰერბიციდები. იმ რაიონებში, სადაც ხშირია ყინვები, ვაზებს შორის გლუვი, შიშველი ნიადაგი უზრუნველყოფს ჰაერის ცირკულაციას და, შესაბამისად, გაყინვისგან იცავს მას. თუმცა, ორგანული მიწათმოქმედების მიმდევრები ვაზებს შორის რგავენ სხვადასხვა სახის ისეთ მცენარეებს, რომლებიც წარმოქმნიან ბუნებრივ საკვებ ჯაჭვს და ნიადაგს აზოტით ამდიდრებენ.

ბუჩქების გასხვლა და საბრჯენი

ვაზისთვის ჯერ მიმართულება, შემდეგ კი გადამეტებული სიმაღლის შეზღუდვაა აუცილებელი წონასწორობის მოსაპოვებლად და ყურძნის მტევნების მზისთვის მისაფიცხებლად. ეს პროცესი ყოველთვის მოითხოვდა კვალიფიცირებულ ხელით შრომას, მაგრამ ახლა უკვე ლერწების დასაკავებელ მავთულს წარმატებით ჭიმავენ მანქანები.

ზაფხული

მორწყვა

ყვავილობა და კვირტების გამონასკვა გადამწყვეტი პერიოდია. ამ პერიოდში ვაზს ესაჭიროება თბილი, მშვიდი ამინდი და მევენახის ფრთხილი ჩარევა. სწორედ ამ დროს იწყება ახალი სამყაროს გვალვიან რეგიონებში მორწყვა.

ვაზის მოვლა

ა) ფოთლების შეწამვლა.

გრილ, ტენიან რეგიონებში ვაზი უნდა შეიწამლოს, რათა ყვავილობის პერიოდში თავიდან ავიცილოთ ოტრყტის დაზიანება. ეს სოკო მანამდე ანადგურებს ვენახს, ვიდრე ის ფორმირებას დაიწყებდეს. ვაზები ასევე რეგულარულად უნდა შეიწამლოს, რომ არ გაუჩნდეს ნაცარი და სხვა სახის ხავსი. ასეთ დროს ჩვეულებრივ გამოიყენება ბორდოს ნარევი ან ფართო სპექტრის მოქმედების ფუნგიციდები.

ეს უკანასკნელი აღწევს მცენარის შინაგან ჰუმორალურ სისტემაში. სამწუხაროდ, ხავსი ძალიან სწრაფად ეჩვევა განსაზღვრულ ქიმიკატს, ამიტომ აუცილებელია მისი შემადგენლობის მუდმივად ვარირება;

ბ) ვაზის გასხვლა.

მთელი სეზონის განმავლობაში რქების სიმაღლე მოითხოვს თავის გადაჭრას, ხოლო დარჩენილი მწვანე მასა უნდა აიკრას ცხაურზე, რათა ფოთლებმა და ნაყოფმა მიიღოს მზის შუქის მაქსიმალური რაოდენობა.

ნიადაგის დამუშავება

მართალია უშუალოდ ვაზის ძირების ქვეშ ნიადაგისთვის ხელის ხლება არ შეიძლება, მაგრამ ტრადიციული მეთოდიკების მიხედვით, ვაზებს შორის ნიადაგი მსუბუქად უნდა გამოიხნას, რაც ხელს შეუწყობს წყლის გადინებისა და ნიადაგს გამოშრობის თავიდან აცილებას.

მავნებლებთან ბრძოლა

აუცილებელია ბრძოლა მუხლუხოებთან, ღამის პეპლებთან და მოსავლის აღებისას ჩიტებთან. ყურძენს და ვაზებს აზიანებენ სხვა მავნებლებიც: კურდღლები, მელიები და ლოკოკინები, ხოლო ავსტრალიაში — კენგურუები.

შემოდგომა

მოსავლის აღება

მევენახემ არჩევანი უნდა გააკეთოს მოსავლის სწრაფ და ეკონომიკურ მექანიზებურ აღებასა (თუ ვენახი ამის საშუალებას იძლევა) და შედარებით დელიკატურ, ნელ და უფრო მოსახერხებელ ხელით დაკრეფას შორის.

შეწამვლა მოსავლის აღების შემდეგ

როდესაც ვაზი კარგავს ფოთლების დაახლოებით 50%-ს, მას წამლავენ, რათა გაანადგურონ ხავსის სპორები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მომავალ წელსაც დააზიანებს ვაზს.

ნიადაგის დამუშავება და სასუქის გამოყენება

ტრადიციულ ვენახებში ნიადაგს ანოყიერებენ კომპოსტით და სასუქებით, ვაზებს კი გარშემო მიწას უყრიან, იმავდროულად ყინვებისგან რომ დაიცვან. არჩევანი მდგომარეობს დამატებითი საკვების ტიპსა და რაოდენობაში.

ციცაბო ფერდობზე ვენახისთვის ნიადაგის მიყრა შეიძლება გორაკის ძირიდან, რათა მოხდეს ჩარეცხილი ნიადაგის კომპენსირება.

ვენახის მოვლა

მოსავლის აღების დასასრულსა და გასხვლის დაწყებას შორის, ვენახის მოვლის რამდენიმე მნიშვნელოვანი სტადიაა: გასხლულ ტოტებს აგროვებენ და, ან წვავენ, ან კუწავენ და ამით ნიადაგს ანოყიერებენ. ასევე ხელახლა ჭიმავენ საყრდენ ცხაურებსაც.

ზღვის მარილის სიკეთეები

ზღვის მარილი თქვენი ჯანმრთელობის სამსახურშია - მისი აბაზანები განკუთვნილია კანის დამატებითი კვებისთვის, რომელიც ენერგიით ავსებს, ხელს უწყობს მის სიმკვრივესა და ელასტიურობას. აბაზანის მიღების შემდეგ კანი გლუვი და კრიალა ხდება, იდევნება შლაკები. ზღვის მარილში შემავალი ბრომი და მაგნიუმი ამშვიდებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ხოლო იოდი სასარგებლოა ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებისთვის. ზღვის მარილი აუმჯობესებს ძვლის ტვინის ფუნქციასაც, ზრდის ჰემოგლობინის დონეს, რეკომენდირებულია ანემიის დროსაც, სასარგებლოა ბრონქებისა და ფილტვების დაავადებათა პროფილაქტიკისთვის, ხსნის კუნთოვან დაძაბულობას. განსაკუთრებით სასარგებლოა მკვდარი ზღვის მარილი, რომლის წყალიც მდიდარია იოდითა და რკინით. გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთათვის ზღვის მარილიან აბაზანებს შეიძლება უკუჩვენება ჰქონდეთ.

სილამაზის ფორმულა

დღეს განსაკუთრებით მოდურად ითვლება ზღვის პროდუქტებით მკურნალობა. მას თალასოთერაპია ეწოდება. ზღვის, თერმული, მინერალური წყლის, წყალმცენარეებისა თუ ტალახების, მარილის, ქვიშისა და ზღვიდან მიღებული სხვა კომპონენტების გამოყენებით ხდება SANUS PER AQUA (SPA) თერაპია, რომელიც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. აქ სუსტი სქესის წარმომადგენლები დადიან გასახდომად, გასალამაზებლად და თვითშეფასების მოსამატებლად. როდესაც დაძაბული დღის რეჟიმი, სტრესი, დაღლილობა თუ უძილობა ქალის ცხოვრების ყოველდღიური ნაწილი გახდა, ხოლო შ თერაპია კი ძვირადღირებული მკურნალობა, მაშინ სპეციალისტები ზღვის მარილის აბაზანებს გვირჩევენ. იგი ძალიან ეფექტურია ცელულიტის სამკურნალოდაც. ზღვის მარილიან წყალში კანი ნაკლებად კარგავს ტენიანობას. ხშირი აბაზანები თანდათანობით ამცირებს ცხიმგროვებს სხეულზე.

ზღვის მარილის აბაზანები ძალიან ეფექტური და სასიამოვნო პროცერესია, ამისათვის 37 გრადუსს ტემპერატურაზე გამთბარ წყალში გახსენით 300-დან 400 გრ-მდე ზღვის მარილი და მიიღეთ აბაზანა 20-30 წუთის განმავლობაში ყოველდღე ან დღეგამოშვებით. შეგიძლიათ აბაზანაში ნატურალური ან მცენარეული ექსტრაქტების ეთერზეთიც დაუმატოთ დაახლოებით 10-15 წვეთი, ასევე, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი. თუ თქვენი კანი მგრძნობიარეა, შეგიძლიათ, ცოტა ზეითუნის ზეთიც შეურიოთ. ზღვის მარილის აბაზანები სახლის პირობებშიც ადვილად შესაძლებელია. ეს პროცედურა ხსნის დაღლილობას, დაძაბულობას, ამშვიდებს ნერვებს, აახალგაზრდავებს კანს და ორგანიზმის სრულ რელაქსაციას ახდენს.

- **ნებისმიერი ანტიცელულიტური აბაზანის წინ, კანი უნდა მოამზადოთ — დაიზილოთ უხეში ღრუბელით ან პირსახოცით, შემდეგ მიიღოთ შხაპი და ჩაწვეთ აბაზანაში. შეგიძლიათ ზღვის მარილს ერთი თხელი ნაჭერი ლიმონი ან ცოტაოდენი რძე დაუმატოთ. კვირაში ორჯერ ასეთი პროცედურის ჩატარება საკმარისია. იგი არ არის რეკომენდირებული ორსულებში, გულ-სისხლძარღვთა და თირკმელების პრობლემების დროს;**
- **სხეულზე კანი რბილი და ელასტიური რომ გქონდეთ, ერთმანეთში აურიეთ ზღვის მარილი და სოდა, სველი ხელის მსუბუქი მოძრაობით გადაისვით მთელ ტანზე და გააჩერეთ ხუთი წუთი, შემდეგ ჩამოიბანეთ და შეიმშრალეთ;**
- **ზღვის მარილით პირის დაბანა და ნიღბის გაკეთება მოდუნებულ კანს გააახალგაზრდავებს, აურიეთ ერთმანეთში თაფლი, ხაჭო და წვრილმარცვლიანი ზღვის მარილი და წაისვით სახესა და ყელზე. 5 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით. თქვენი კანი ელასტიური და ხავერდოვანი გახდება;**
- **იმისათვის, რომ ფრჩხილები გაგიმაგრდეთ, ხელებზე კანი კი, უფრო რბილი გაგიხდეთ, ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში ჩაყარეთ ერთი სადილის კოვზი ზღვის მარილი, ჩააწვეთეთ რამდენიმე წვეთი ლიმონი და ჩაყავით ხელები 10 წუთის განმავლობაში;**
- **ტერფების პილინგისთვის 2 კოვზი ზღვის მარილს დაამატეთ 4 კოვზი თაფლი და წრიული მოძრაობით წაისვით ტერფებზე და გაიჩერეთ რამდენიმე წუთით, შემდეგ დაიბანეთ და წაისვით დამატენიანებელი კრემი.**

ჩვენი განყმეღინებული ნინო და გორა
ძალიან, ძალიან, გვიყვარხართ, არა მარტო მე, არამედ მთელ რაჭველებს
და მთელ საქართველოს. დიდან უყურნარ „რაჭველების" დაარსებიდან, ყველამ
მშობლიური სიყვარულით შეგიყვარეთ. მე და ჩემი ოჯახის წევრები უყურნარ
„რაჭველების" მყარმივი მკითხველი და ქომაგნი ვართ. ეს ყველათვერი არა მარტო
თქვენი დამსახურებაა, არამედ თქვენი წინაპრების. ამიტომ თქვენ უნდა იყოთ დიდხანს
და დიდხანს, რომ სტიმულს აძლევთ ახალგაზრდა თაობებს რეგიონები უნდა იყვნენ ისინი.
რაჭისა და რაჭველების მოსიყვარულე, გულოანში დაბადებული და გაზრდილი ადამიანი ვარ.
ვეთვრები და გულით მოვიკითხავ ყველა რაჭველს, ყველა გულოველს. პატივისცემით
გურამ ბალაშვილი.

გურამ ბალაშვილი

ჩემს საყვარელ რაჭას

მე დავიბადე იმ ღვთიურ კუთხეს
სადაც „უფალმა", ფეხი დაადგა
სადაც უფალმა ხელის მოსმითა
კურთხეულ მიწას, „გლოლა" დაარქვა.

იქ სადაც იბადებოდნენ
და იზრდებოდნენ „მამა-ჰაჰანი"
სადაც სინდისის მორევი იდგა
და ირწეოდა „გმირთა აკვანი".

კურთხეულ მიწას თურმე ერთხელაც
ესტუმრა თვითონ „მეფე თამარი"
მგზავრობის დროსა მეფესა თურმე
მოართვეს მსახურთ კოკითა წყალი.

„მეფეს" ეამა ეს გრილი წყალი
და „მსახურთ" ჰკითხა, სად არის ესა
„მეფე" წამოდგა ფეხზე სასწრაფოდ
და გაეშურა ჭისკენა ხევსა.

და ამის შემდეგ ბრძანა „მეფემა"
„კურთხეულ" კუთხეს „რაჭა" დაერქვას
და აღასრულა ქართველმა ერმა
„რაჭას" ეძახის სუეველა დღესაც.

კუთხეს რომელსაც „რაჭა" დაერქვა
არის „მეფისგან" ნაბოძებია
არის მდიდარი ბრძენი ხალხისგან
„მამა-ჰაჰათა" საფლავებია.

არის „გლოლასთან" ახლოს მდებარე
„ტურბაზა" მშვიდი და ხელგაშლილი
მას გვერდს უმშვენებს „შოვი" ძვირფასი
„კურორტი" ბრძენი სახელგანთქმული.

„შოვს" გადმოჰყურებს მაღალი მთები
მთა „მამისონი", „ჩხოჭა" „ძრიწელა"
იქ სადაც, ჩვენსა „მამა-ჰაჰათა"
მრავალჯერ უთქვამთ ლაღი სიმღერა.

ბევრი მოსულა „შოვში" სტუმარი
მჟავე წყლებს ბევრი მოუხიბლია
ეხლაც გრძელდება ეს ტრადიცია
ბევრ მათგანს ლექსიც გამოუთქვია.

ამ ღვთის სოფელში გაჩნდნენ მშობლები
„მამა მარკოზი" და „დედა თეკლე"
იმსახურებენ ჩვენგან ლოცვასა
ღმერთმა დალოცოს მათი აკვნები.

სწორედ ამ კუთხის ორმა სიცოცხლემ
შთაბერა სული რვა „ანგელოზსა"
დღესაც ვიგონებთ, კურთხეულ მშობლებს
„თეკლეს" „მარკოზს" და მათ „წინაჰრებსა".

რვა შვილი გაჩნდა „ღმერთის" წყალობით
„სამი ქალი და ხუთი ვაჟია"
გამრავლდა ეველა როგორც „ციური"
„კაშკაშა ცაზე ვარსკვლავებია".

„ღმერთმა" ამრავლოს „რვავეს" შვილები
შვილის-შვილები, შვილთა-შვილია
იეოს სიმრავლე, ლხინი და ლხენა
„დღეგრძელი იეოს მათი გვარია".

მოგმართავთ თხოვნით!

მოგმართავთ ყველა პიროვნებას, ვისაც აქვს შესაძლებლობა. ფინანსური დახმარება გაუწიოთ ჩვენი ლამაზი სოფლია ცახის აღორძინებას და მის კეთილდღეობას, რათა მთლიანად, არ შერჩეს მას მოსახლეობისგან დაცლილი სოფლის სახელი, რაც ყველასათვის საწყენი იქნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2013 წლის დეკემბერში სოფლის გამგებლის **ფრიდონ სოხაძის** ინიციატივით, მის თანამოაზრეებთან ერთად შეიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფონდი **სოფლის „აღორძინება“**. კანონმდებლობის თანახმად მიღებული იქნა წესდება, რომელიც ოფიციალურად გატარდა სახელმწიფო რეესტრში.

განცხადების ნომერი: **682623, ლიბერთი ბანკში გახსნილია ფონდის ანგარიში**, რომლის ნომერია **GE17LBO115152730535000**; 10/12/2013წ.

საზოგადოების სახელწოდება

„ფონდი სოფლის აღორძინება“

საქმიანობის მიზნები:

- **სოფლის კეთილმოწყობის სხვადასხვა სფერო.**
- **სოფლის ტერიტორიაზე არსებული სალოცავების რესტავრაცია, რემონტი, სოფლის შიდა გზების შეკეთება, ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილის გამოყოფა და მისი კეთილმოწობა.**
- **სოფელში ხის სახერხისა და ელექტრო წისქვილის ფუნქციონირების პრობლემის მოგვარება.**

საზოგადოების დამფუძნებლები:

1. *ფრიდონ სოხაძე 599-55-66-06*
2. *ანზორ სოხაძე 551-47-09-74*
3. *დავით ბერაძე 599 40-65-18*

ზემოთ აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხა, მკაცრად იქნება გაკონტროლებული. გახსნილია სპეციალური ჟურნალი, სადაც თითოეული ქველმოქმედის სახელი და გვარი იქნება დაფიქსირებული;

ერთად ავაღორძინოთ ჩვენი სოფელი, ისტორიული გადმოცემით ცასავით მაღალი და ლამაზი.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

პატივისცემით
აღორძინების ფონდის ხელმძღვანელი **ანზორ სირაძე**
25.01.2015

შეემოდიოდა სიკვდილი ცელით

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ ძალის გამოყენებით საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო.

რუსეთის წითელი არმია ჩვენს ქვეყანაში 12 თებერვალს შემოიჭრა. რუსეთის მე-11 არმიას ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან აღუდგნენ. ძირითადი ბრძოლები კოჯრისა და ტაბახმელას მიდამოებში გაიმართა.

მე-11 არმიას იუნკერებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ ერთხანს კიდეც უკუაგდეს მტერი. თუმცა განახლებული შეტაკებების შედეგად იუნკერთა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. თბილისის მისადგომებთან ბრძოლაში მოხალისედ წასული, პოეტ კონსტანტინე მაყაშვილის 20 წლის ქალიშვილი მარო მაყაშვილიც დაიღუპა. ის ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში.

23 თებერვალს კოჯრისა და ტაბახმელას ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.

1921 წლის 25 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შეიჭრა. მოკავშირეების გარეშე, ბედის ანაბარად მიტოვებულმა ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა საქართველოს დედაქალი და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ქვეყანამ სუვერენიტეტი დაკარგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტში დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. მებრძოლ იუნკერებს სამშობლო არასოდეს დაუტოვებიათ.

კოჯრის მახლობლად გმირულად დაღუპული იუნკერები დიდი პატივით დაკრძალეს ეკლესიის ეზოში. იქ, სადაც ამჟამად საქართველოს პარლამენტის შენობა მდებარეობს. აღნიშნული ტაძარი კი (აგებული 1897 წ.) 1930 წელს კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის შედეგად დაანგრიეს.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც ავალებს მთავრობას ყოველ 25 თებერვალს, ასეულ ათასობით ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, რომლებიც "კომუნისტურმა საოკუპაციო რეჟიმმა პოლიტიკური ნიშნით სიცოცხლეს გამოასალმა", დაუშვას სახელმწიფო დროშები და გამოცხადდეს წუთიერი დუმილი.

25 თებერვალს საზეიმო ღონისძიებები შეზღუდულია. მართლმადიდებლურ ტაძრებში კი გმირების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდები სრულდება.

25 თებერვალი, 1921 წ.

25 თებერვალი

თოჯდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა ხიონი და დუმდა ხალხი,
მიდდეიმრად იყო ქალაქი ჩემი,
ხაშინელებას კელავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, ხიხსლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგეიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კელავ არ დაგინდეს!
თოჯდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა ხიონი და დუმდა ხალხი,
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდდა თოჯლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის დამე.

თოჯდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა ხიონი და დუმდა ხალხი,
იმ გზით, ხად წინად ელავდნენ ხმლები,
ხად ხამახ გმირთა დაიფშვნა მკლები,
ხად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მშიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
ხად გმირთა ხიხსლით ნაპოხიერი,
თოვს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოლერილ ველით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა ხიკვდილი ცელით!
თოჯდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა ხიონი და დუმდა ხალხი.

კოლაუ ნადირაძე

ნება ქმარმა და
ცოლმა ერთმანეთი
ყოველთვის
გიყვარდეთ
I Love You